აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის ფინანსური ეფექტიანობის შეფასების თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების დამუშავება და სრულყოფა **მუდმივ აქტუალურობას ინარჩუნებს**. ამასთან, კომპანიის ფინანსური ეფექტიანობის შეფასების პრობლემა, განსაკუთრებით პოსტსაბჭოურ ქვეყნებში და კერძოდ საქართველოშია აქტუალური, რამდენადაც აქ კორპორაციული მმართველობა სუსტადაა განვითარებული.

კომპანიის ფინანსური ეფექტიანობის შესაფასებლად ფინანსური ანალიზის სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება, რაც, თავის მხრივ, ფინანსური აღრიცხვის ხელსაწყოების დაუფლებას მოითხოვს. კომპანიის ფინანსური ეფექტიანობის შეფასების მიზნით ჩვენ დაკვირვების ობიექტად შევარჩიეთ აღკოპოლური კომპანიები: სააქციო საზოგადოება (სს) „თელიანი ველი“ და სს „სარაჯიშვილი“.

სს „სარაჯიშვილის“ ძირითად საქმიანობას კონიაკის წარმოება წარმოადგენს. კომპანია „სარაჯიშვილი“ საქართველოში კონიაკის ბაზარზე წარმოდგენილ კომპანიებს შორის ერთ-ერთი ლიდერია. დღეს-

დღეობით ქვეყნის ბაზარზე გვხვდება როგორც ქართული კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქცია, ისე ფრანგული, სომხური და სხვა იმპორტირებული ბრენდები.

სს „სარაჯიშვილის“ მიერ წარმოებული პროდუქციის ძირითად კონკურენტებად განიხილებიან ფრანგული ბრენდები. ევროპული წარმოების კონიაკებისათვის ჯანსაღი კონკურენციის გაწევის მიზნით კომპანიამ რებრენდინგი განახორციელა. შეიცვალა პროდუქციის იერსახე – ბოთლები, ეტიკეტები და ა.შ., რამაც, თავის მხრივ, ევროპაში “სარაჯიშვილის“ მიერ წარმოებული კონიაკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას შეუწყო ხელი.

სს “თელიანი ველი” წარმოადგენს შპს “თელიანი ველი“-ს სამართალმემკვიდრეს. შპს “თელიანი ველი” დაფუძნდა 1997 წელს. ხოლო 2000 წელს გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) 2004 წელს შეიძინა მისი აქციათა პაკეტი, რის შედეგადაც მნიშვნელოვანი ინვესტიცია განხორციელდა: თელავის რაიონში აშენდა “თელიანი ველის” ქარხანა; განახლდა არსებული საწარმოო დანადგარები; შეიძინეს ახალი მუხის კასრები და დამხმარე მასალები; მოკლე ვადაში დაამონტაჟეს უახლესი დანადგარები.

სს “თელიანი ველი” მომხმარებელს უახლესი ტექნოლოგიით დამზადებული უმაღლესი ხარისხის წითელი და თეთრი, მშრალი და ნახევრადმშრალი, ტკბილი და ნახევრადტკბილი ღვინოების ფართო არჩევანს სთავაზობს. იგი თავის პროდუქციას 25-ზე მეტ ქვეყანაში ყიდის. რაც შეეხება ადგილობრივ ბაზარს, აქ “თელიანი ველის” ბოთლის ღვინოების გაყიდვებს ლიდერის პოზიცია უკავია.

კომპანიების ფინანსური ეფექტიანობის შეფასება მათი საქმიანობის ძირითადი ტენდენციების გამოკვლევით დავიწყეთ. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საკვლევი კომპანიების აქტივებში დიდი ხვედრითი წილი უკავია ძირითად საშუალებებს და სასაქონლო მატერიალურ მარაგს, რასაც კომპანიების წარმოებრივი მიმართულება განსაზღვრავს.

კვლევამ ისიც გვიჩვენა, რომ სს „სარაჯიშვილს“ ინკასაციის საშუალო პერიოდის ზრდის ტენდენცია გააჩნია და იგი კომპანია „თელიანი ველთან“ შედარებით მაღალია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ კომპანია ეფექტიანად ვერ ახდენს ანგარიშის ინკასირებას ან კრედიტით გაყიდვების ხვედრითი წონაა მაღალი. შესაბამისად, საბრუნავ კაპიტალში დებიტორული დავალიანება დიდი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი.

დღეს საქართველოს კომპანიების უმეტესობა, მათ შორის საკვლევი კომპანიები, ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს იყენებს, ეს იმაზე მეტყველებს, რომ კომპანიები არ არიან დაუფლებული იმ სააღრიცხვო

ხელოვნებას, რასაც ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები გვთავაზობს. ანალიზმა გვიჩვენა, რომ ვერც დაკვირვების ობიექტად შერჩეულმა კომპანიებმა გამოიყენეს დასაბეგრი მოგების შემცირების რეალური შესაძლებლობები.

საკვლევი კომპანიების საოპერაციო შემოსავლებში დიდი ხვედრითი წონით არის წარმოდგენილი პროდუქციის თვითღირებულებისა და ადმინისტრაციული ხარჯები და ისინი ზრდის ტენდენციით ხასიათდებიან. ამიტომ აუცილებელია პროდუქციის ერთეულზე აღნიშნული ხარჯების შემცირების მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების გატარება.

კომპანიების ფინანსური ეფექტიანობის შეფასება შესაძლებელია, ასევე, ფარდობითი კოეფიციენტების გამოყენებით. ასე მაგალითად, კომპანიის ფინანსურ ეფექტიანობას, სხვა მაჩვენებლებთან ერთად, მისი გადახდისუნარიანობა და მდგარადი განვითარება ახასიათებს. შესაბამისად, ფინანსური ეფექტიანობის შეფასების პროცესში მიმდინარე და ვადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტები გამოვიყენეთ (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

აღკოშპოლურ კომპანიების ლიკვიდურობის მაჩვენებლების დინამიკა

მაჩვენებლები	სს “სარაჯიშვილი”					სს “თელიანი ველი”				
	2008	2009	2010	2011	2012	2008	2009	2010	2011	2012
მიმდინარე ლიკ. კოეფ. (ლარი)	3.39	2.68	2.59	2.51	3.09	1.35	1.14	1.62	2.25	3.5
ვადიანი ლიკ. კოეფ. (ლარი)	0.68	0.44	0.61	0.84	1.27	0.93	0.62	0.93	1.37	2.16

როგორც წესი, ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ უმეტესი კომპანიებისათვის მისაღები მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი და ვადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტი შესაბამისად **2,0 და 1,0 უნდა იყოს**. მაგრამ ამ კოეფიციენტების ოპტიმალური მნიშვნელობა დამოკიდებულია, ასევე, კომპანიის კონკრეტულ სტრატეგიაზე და იმაზე, თუ რომელ დარგს მიეკუთვნება კომპანია. ზოგადად, ეს კოეფიციენტები კომპანიების გადახდისუნარიანობას ახასიათებს.

ცხრილ 1-ში მოცემულია ჩვენ მიერ დაკვირვების ობიექტად აღებული კომპანიებში მიმდინარე და ვადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტების დინამიკა. 2009-2012 წლებში კომპანიების მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა. აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ ამ კომპანიებში მიმდინარე აქტივებში ზრდის ტემპი მიმდინარე ვალდებულებების ზრდის ტემპს აღემატებოდა.

რაც შეეხება ვადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტს, ის წარმოადგენს კომპანიის გადახდისუნარიანობის უფრო მკაცრ მაჩვენებელს. ვადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტის განსაზღვრის დროს მიმდინარე აქტივის ღირებულებას აკლდება სასაქონლო მატერიალური მარაგის ღირებულება და იყოფა მიმდინარე ვალდებულებებზე. აღსანიშნავია ის, რომ სასაქონლო მატერიალური მარაგების ფულად გადაქცევა იოლი არ არის, ან, ის შეიძლება კომპანიას საერთოდ არ გააჩნდეს. შესაბამისად, ვადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტი კომპანიის მიმდინარე ვალდებულების დასაფარავად ფულადი საშუალებების მიღების რეალურ შესაძლებლობას განსაზღვრავს. საკვლევი კომპანიებში ვადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტის დინამიკიდან ჩანს, რომ 2009 წლიდან კომპანიებში ვადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტი იზრდება, ხოლო 2012 წელს 1-ს აღემატება (სს “სარაჯიშვილი“ 1,27 და სს “თელიანი ველი“ 2,16). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომპანიების მიმდინარე აქტივის სტრუქტურაში დებიტორული დავალიანების ხვედრითი წილი არა მარტო მაღალია, არამედ იზრდება კიდევ. თავის მხრივ, ეს გავლენას ახდენს ვადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტზე და მის ზრდასაც განაპირობებს.

ზოგადად, დებიტორული დავალიანების შეუსრულებლობა კომპანიებში საგადამხდელო ბრუნვის შენელებას იწვევს და დამატებით ფინანსური რისკების პრობლემებს ქმნის. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ: საკრედიტო პოლიტიკას, კრედიტის დაბრუნების პოლიტიკას, კრედიტუნარიანობის სტანდარტების დადგენას, ინკასაციის პოლიტიკის შემუშავებას და მის პრაქტიკულ რეალიზაციას.

კომპანიის ფინანსური ეფექტიანობის შესაფასებლად ფართოდ გამოიყენება ისეთი შედეგობრივი მაჩვენებლები, როგორცაა **მომგებიანობის კოეფიციენტები**. კერძოდ, გაყიდვების (რეალიზაციის) მომგებიანობა (PM); აქტივების მომგებიანობა (ROA) და საკუთარი კაპიტალის მომგებიანობა (ROE). ცხრილ 2-ში მოცემულია აღნიშნული მაჩვენებლების დინამიკა. ყოველი მათგანი კომპანიის საქმიანობას სხვადასხვაგვარად აფასებს.

ცხრილი 2-დან ჩანს, რომ სს „სარაჯიშვილის“ გაყიდვების მომგებიანობის დონე 2008 წელს 52,4 უდრის, რაც, რა თქმა უნდა, მაღალია. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ამ პერიოდში კომპანიის არასაოპერაციო შემოსავლები საოპერაციო შემოსავლებიდან მიღებულ მოგებას დაახლოებით 3,2-ჯერ აღემატებოდა. რაც შეეხება სს „თელიანი ველი“ გაყიდვების მომგებიანობის დონეს, კომპანიამ 2008-2009 წლებში საქმიანობა ზრალით დაასრულა, ხოლო 2012 წელს, 2010 წელთან შედარებით, უკვე მისი გაყიდვების მომგებიანობა 15.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

ცხრილი 2

მომგებიანობის დონე და დინამიკა ალკოჰოლურ კომპანიებში¹

მაჩვენებლები	სს „სარაჯიშვილი“					სს „თელიანი ველი“				
	2008	2009	2010	2011	2012	2008	2009	2010	2011	2012
PM (%)	52.4	8	9.6	20.4	26.2	-11	-1.3	1.4	12.8	17
ROA(%)	8.4	1.9	2.3	6.4	11.0	-6	-0.9	1.1	10.7	18.1
ROE (%)	11.9	1.7	3.6	10.4	16.6	-14.5	-2.4	2.8	19.5	31.9

თავად გაყიდვების მომგებიანობის კოეფიციენტი ძალზე მნიშვნელოვან მაჩვენებელს არ წარმოადგენს, რამდენადაც მომგებიანობის მაჩვენებლები ძალზე განსხვავებულია დარგებისა და კომპანიების მიხედვით. მაგალითად, წარმატებით მომუშავე სუპერმარკეტებს შეიძლება გააჩნდეთ ძალზე დაბალი გაყიდვების მომგებიანობის მაჩვენებელი, ჩვეულებრივ, 1-2%-ის ფარგლებში. შესაბამისად, კომპანიის მართვის ეფექტიანობის შესაფასებლად საჭიროა როგორც ეფექტიანობის ამ მაჩვენებლების ცვლილების ტენდენციის შესწავლა, ისე დარგობრივ ნორმატივებთან მისი შედარება.

რაც შეეხება ROA და ROE კოეფიციენტებს, ისინი განსაზღვრავენ მოგების ნორმას დაბანდებასთან მიმართებაში. აქტივების მომგებიანობა (ROA) კომპანიის ყველა აქტივზე მოგების ოდენობით განისაზღვრება. ხოლო საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის კოეფიციენტი (ROE) მხოლოდ აქციონერების დაბანდების ეფექტიანობას ახასიათებს.

¹ ცხრილი შედგენილია კომპანიების ფინანსური ანგარიშგების მიხედვით

ცხრილი 2-ის მიხედვით, სს „სარაჯიშვილის“ აქტივების მომგებიანობის მაჩვენებლები 2009 წელს, 2008 წელთან შეადარებით, მნიშვნელოვნად (22-ჯერ) შემცირდა, რაც განაპირობა როგორც მთლიანი აქტივების (კერძოდ, საბრუნავი აქტივებში) მიმდინარე ცვლილებებმა (შემცირების თვალსაზრისით), ისე წმინდა მოგების მნიშვნელოვანმა ცვლილებამ. აღნიშნულ პერიოდში კომპანიის წმინდა მოგება დაახლოებით 5-ჯერ შემცირდა. თუმცა უკვე 2010-2012 წლებში უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც, ზრდა დაფიქსირდა. რაც შეეხება საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის მაჩვენებელს, აქაც იგივე ტენდენცია აღინიშნება.

ცხრილი 2-ის მიხედვით, 2008-2009 წლებში კომპანია „თელიანმა ველმა“ საქმიანობა ზარალით დაასრულა. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ზარალის ოდენობა როგორც მთლიან აქტივთან, ისე საკუთარ კაპიტალთან მიმართებაში მცირდება. ხოლო 2010 წლიდან მომგებიანობა იზრდება. აღნიშნულმა მაჩვენებლებმა 2012 წელს შესაბამისად 18,1 და 31,9 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ამ კომპანიაში, კაპიტალის მოზიდვასთან დაკავშირებით, მდგომარეობა გაუმჯობესდა. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის ზრდის ტემპი რეინვესტირების კოეფიციენტის საკუთარი კაპიტალის მომგებიანობაზე გამრავლებით განისაზღვრება, სს „თელიან ველს“, სს „სარაჯიშვილთან“ შედარებით, უფრო მაღალი ზრდის ტემპის პოტენციალი გააჩნია.

როგორც წესი, კომპანიის მიერ ნასესხები საშუალებების დაფარვა დროულად თუ არ განხორციელდა, ის შეიძლება დეფოლტის მდგომარეობაში აღმოჩნდეს. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია აღნიშნული კოეფიციენტები, მით უფრო მაღალ რისკს უკავშირდება კომპანიის საქმიანობა.

ვალის კოეფიციენტები, სულ სავალო ვალდებულებების მთლიან აქტივებთან D/A ან საკუთარ კაპიტალთან D/E შეფარდება. D/A გვიჩვენებს, თუ ერთობლივი აქტივების რა ნაწილი დაფინანსდა ნასესხები საშუალებებით ის. ცხრილი 3:

კომპანია „სარაჯიშვილის“ ვალის კოეფიციენტი 2008 - 2012 წლებში მერყეობს. რაც შეეხება „თელიან ველს“, აღნიშნული კოეფიციენტი 0,5 აჭარბებს. აღსანიშნავია ის, რომ უმეტეს საწარმოებში ეს მაჩვენებელი 0,30-დან 0, 70-ის ფარგლებში მერყეობს.

ნასესხები საშუალებების გამოყენების დინამიკა²

მაჩვენებლები	სს „სარაჯიშვილი“					სს „თელიანი ველი“				
	2008	2009	2010	2011	2012	2008	2009	2010	2011	2012
D/A (ლარი)	0.29	0.33	0.36	0.38	0.34	0.58	0.54	0.59	0.45	0.43
D/E (ლარი)	0.41	0.49	0.56	0.62	0.51	1.4	1.2	1.4	0.82	0.75

ფინანსური ბერკეტის ეს ორი მაჩვენებელი **D/A** და **D/E** გვიჩვენებს ნასესხები საშუალებების ხვედრით წილს აქტივებსა და საკუთარ კაპიტალში და, პრინციპში, ერთგვაროვან ინფორმაციას იძლევა. ასე მაგალითად, 2012 წელს სს „სარაჯიშვილის“ ფინანსური ბერკეტის კოეფიციენტი 0,34 გვიჩვენებს იმას, რომ კომპანიამ, აქტივების 66% აქციების ხარჯზე დააფინანსა. ასეთ შემთხვევაში

$$\frac{D}{E} = \frac{0,34}{0,66} = 0,51$$

ეს იგივეა, რაც ვალდებულებების საკუთარ კაპიტალთან შეფარდებით მივიღეთ. ცხრილი 3-დან ჩანს, რომ 2012 წელს კოეფიციენტი **D/E** 0,51-ს უდრიდა. ცხრილი 3-ის მიხედვით, სს „თელიანი ველი“ აქტივების დასაფინანსებლად ვალდებულებებს უფრო მეტად იყენებს ვიდრე სს „სარაჯიშვილი“, რაც ფულადი ნაკადების მიზნობრივ მართვას მოითხოვს. ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კომპანიების მიერ დაფინანსება კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის პრინციპების საფუძველზე განხორციელდეს.

კომპანიების ფინანსური ეფექტიანობის შეფასების ფინანსურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ფინანსური ეფექტიანობის დონის ასამაღლებლად, რომელიც, როგორც შიდა ისე გარე ფაქტორებით ვლინდება, კომპანიებმა ქმედითი ღონისძიებები უნდა განახორციელონ.

კვლევის შედეგმა გვიჩვენა ისიც, რომ არსებობს პრობლემები, რომლებიც კომპანიის ეფექტიანად მართვას აფერხებს, რაც მის შედეგობრივ მაჩვენებლებში აისახა. ეს ადეკვატური ღონისძიებების გატარებას საჭიროებს. კომპანიის ფინანსური ეფექტიანობის ასამაღლებლად მიზნობრივად უნდა იქნეს გამოყენებული ფინანსური ანალიზის მეთოდები და ფინანსური ადიცხვის ხელოვნება.

² ცხრილი შედგენილია ნაშრომში წარმოდგენილი დანართების მიხედვით.

ლილი გვენეტაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
მარიამ კაპანაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**კომპანიების ფინანსური ეფექტიანობის შეფასების ფორმების ფორმალური
ანალიზი**

კომპანიის ფინანსურ ეფექტიანობის შეფასება, კორპორაციულ მართვაში, მუდმივ აქტუალურობას ინარჩუნებს. ნაშრომში დაკვირვების ობიექტად შერჩეული იქნა საქართველოს ალკოჰოლური კომპანიები. სტატიაში, ფინანსური ანგარიშგების მიხედვით განისაზღვრა: კომპანიების ლიკვიდურობა, შემოსავლიანობის დონე და ფინანსური ბერეკეტების გამოყენების ხარისხი. კვლევის შედეგად გამოვლინდა ფინანსურ აღრიცხვაში არსებული პრობლემები, რაც კომპანიების ეფექტიან მართვას აფერხებს.

Lily gvenetadze
Doctor of Economics, Professor,
Marika Kapanadze
Doctoral Student

**SOME ASPECTS OF THE COMPANIES' FINANCIAL
EFFICIENCY EVALUATION**
Annotation

The evaluation of the companies' financial efficiency maintains the constant importance. The analysis in the article was concentrated around the producers of alcoholic beverages. In the article based on the financial statements were determined the company's liquidity, profitability level and extent of usage of financial leverages. Based on the research was revealed the existing problems in the financial accounting that hinders the effective management of the companies.

ლილი გენეტაძე

დოქტორ ეკონომიკის, პროფესორი,

მარიკა კაპანაძე

დოქტორანტი

**НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ ОЦЕНКИ ФИНАНСОВОЙ
ЭФФЕКТИВНОСТИ КОМПАНИИ**

Аннотация

Оценки финансовой эффективности компаний в корпоративном управлении, сохраняют постоянную актуальность. В работе качестве объекта наблюдения были выбраны алкогольные компании Грузии. В статье соответствии с финансовой отчетностью определены: ликвидности компаний, уровень доходности и степень использование финансовых рычагов. Исследование показало, проблемы в финансовом учёте, что препятствует эффективное управление компаний.

ირინე მამალაძე
ასოცირებული პროფესორი

დაზღვევა და ინვესტიციები

საინვესტიციო გარემოს, ინვესტიციების ეფექტიანობის, მათი რეგულირების და დაზღვევის, აგრეთვე, ამ წრის სხვა საკითხები თუ პრობლემები ეკონომიკურ ლიტერატურაში საკმაოდ ფართოდ და ღრმადაა გაშუქებული. შედარებით ნაკლები ყურადღება, ჩვენი აზრით, სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პოტენციალსა და მათ საინვესტიციო საქმიანობის კვლევას ეთმობა ხოლმე.

საინვესტიციო საქმიანობაში მზღვეველთა მონაწილეობის შესაძლებლობა ბუნებრივად გამომდინარეობს დაზღვევის გზით ფინანსური სახსრების გადანაწილების თავისებურებებიდან. უპირველეს ყოვლისა, ესაა დროის შუალედის არსებობა სადაზღვევო მომსახურების საფასურის გადახდასა და ამ მომსახურების რეალურად გაწევას შორის, რითაც სარგებლობს სადაზღვევო ფონდის სახსრების განმკარგავი პირი და ამა თუ იმ სფეროში აბანდებს ხსენებულ სახსრებს.

სადაზღვევო ორგანიზაციების ხელთ არსებული სახსრები შედგება:

ა) იმ რესურსებისაგან, რომლებსაც სადაზღვევო შემთხვევათა დადგომის დროს იყენებენ მზღვეველები თავიანთი ვალდებულებების შესასრულებლად;

ბ) სადაზღვევო ორგანიზაციის ნომინალური ფუნქციონირებისათვის საჭირო სახსრებისაგან.

როგორც ვხედავთ, ეს რესურსები მოიცავს, ერთი მხრივ, მიმდინარე შემოსულობებს, ხოლო მეორე მხრივ, მზღვეველთა განკარგულებაში მყოფ ფონდებს. ამ ფონდებს აყალიბებენ როგორც საკუთარი, ისე მოზიდული სახსრების ხარჯზე, რომელთაგან ზოგიერთი მომდევნო რამდენიმე წელიწადში გამოსაყენებლადაა შექმნილი.

სადაზღვევო კომპანიების სახსრებისა და ფონდების საინვესტიციო მიმართულებები, ვადები და სფეროები ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. კერძოდ, სარისკო დაზღვევის ოპერაციების მიხედვით შემოსული სახსრების უმეტეს ნაწილს მაღალლიკვიდურ, მოკლევადიან აქტივებში აბანდებენ. ამ წესიდან გამონაკლისი შეიძლება იყოს კატასტორფებისა და ზარალიანობის რყევის რეზერვებში თავმოყრილი სახსრები, რომლებსაც მაშინ იყენებენ, როცა დაზღვევის შენატანები არასაკმარისი აღმოჩნდება ხოლმე. რაკი ამგვარი რამყოველწლიურად არ ხდება, აღნიშნულ რეზერვებს უფრო გრძელვადიანი ინვესტიციებისთვისაც იყენებენ. ადვილი მისახვედრია, რომ ასეთი რეზერვების საჭიროების

მომენტის წინასწარ გამოცნობა ყოველად შეუძლებელია, რის გამოც ხსენებული ინვესტიციების ლიკვიდობა ძალიან მაღალი უნდა იყოს.

რაც შეეხება სიცოცხლის დაზღვევას, აქ ორი რამაა გასათვალისწინებელი:

1. ხელშეკრულებათა მოქმედების ხანგრძლივი ვადა;
2. ვალდებულებათა გაჩენა, ძირითადად, ხელშეკრულებათა ვადის გასვლის შემდეგ.

სადაზღვევო ორგანიზაციების საკუთარი სახსრები, როგორც წესი, შედგება საწესდებო, სარეზერვო და დამატებითი კაპიტალისაგან, გაუნაწილებელი მოგებისაგან, მოხმარებისა და დაგროვების ფონდებისაგან. ბიუჯეტში სავალ-დებულო გადასახდელების გასტუმრების, პერსონალის სტიმულირებისათვის და მესაკუთრეებზე თანხების გაცემის შემდეგ დარჩენილი სახსრების გამოყენება მათ შეუძლიათ კომპანიის განვითარებისა და საკუთარი ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებისთვის. მათ ერთ ნაწილს კომპანიები გრძელვადიან და ნაკლებად ლიკვიდურ ინვესტიციებად აქცევენ, რადგან კონკრეტულ ვალდებულებებზე არ არიან „მიბმული“. ლოგიკურია ის გარემოება, რომ მზღვეველის საქმიანობის დასაწყისში უფრო მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალი. მოგვიანებით ამ წილს სადაზღვევო რეზერვები იკავებენ, რომლებიც თანდათანობით იძენენ ინვესტიციების წამყვანი წყაროების როლს; საკუთარი სახსრების სტრუქტურაში ქვეითდება საწესდებო კაპიტალის მნიშვნელობა, დაგროვების ფონდებისა და გაუნაწილებელი მოგების ხვედრითი წილი კი მატულობს.

დაზღვევის განვითარებული ბაზრების მქონე ქვეყნების სადაზღვევო ორგანიზაციები ერთ-ერთ უმსხვილეს ინვესტორებად ითვლებიან. ხშირად მათ იმ ინსტიტუციურ ინვესტორებადაც კი განიხილავენ, რომელთა ძირითადი ფუნქციაც კაპიტალის მობილიზებაა, სადაზღვევო მომსახურების გაწევას კი მათ მეორე-ხარიხოვან ფუნქციადაც მიიჩნევენ. ისეც ხდება, რომ სადაზღვევო კომპანიები ამ საქმიანობიდან განცდილ ზარალს ინვესტიციებიდან მიღებული მოგებით ფარავენ. სადაზღვევო და საპენსიო ფონდების სახსრების დაბანდება დღეს ამ ქვეყნებში დანაზოგების აკუმულირების ძალიან მიმზიდველ ფორმად გვევლინება, რომელიც მოცულობით ზოგჯერ აჭარბებს კიდევ საშემნახველო საქმეს. ამ პროცესში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სიცოცხლის დაზღვევას, რომლის გრძელვადიანი ხელშეკრულებების ვადები 10–15 წელი და მეტიცაა. ამ დროს სერიოზული კაპიტალი იყრის თავს, რომლის ხარჯზეც ეკონომიკა დიდწილად იკმაყოფილებს ინვესტიციებზე არსებულ მოთხოვნებს.

მზღვეველთა საინვესტიციო პოლიტიკაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მათ მიერ ბანკებში, უძრავ ქონებაში, მრეწველობაში, მომსახურებასა და სხვა სფეროებში განხორციელებულ დაბანდებებს. ფართოდაა გავრცელებული სამრეწველო კორპორაციებისთვის საინვესტიციო კრედიტების გამოყოფა 15–20 წლით. განსაკუთრებით მსხვილი სესხების განსათავსებლად მზღვეველები ქმნიან კონსორციუმებს ერთმანეთს შორის ან ბანკებთან ერთად. მათი კაპიტალის ძირითადი ნაწილი ხმარდება მანქანათმშენებლობას, ელექტრონულ, ქიმიურ და ნავთობის მრეწველობას და ა.შ.

დასავლეთის ქვეყნების სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა სახსრების ინვესტირება უმსხვილესი ტრანსეროვნული კომპანიების ფასიან ქაღალდებში. ფასიანი ქაღალდების პირდაპირ ფლობას აქ ემატება სადაზღვევო ორგანიზაციების მონაწილეობა კორპორაციების დაფინანსებას ან მართვაში.

სადაზღვევო კომპანიები კონკურენციას უწევენ სპეციალიზებულ სალიზინგო ფირმებს. ისინი იძენენ სატრანსპორტო საშუალებებს, ელექტრონულ ტექნიკასა და სხვა მოწყობილობა-დანადგარებს და არენდით გასცემენ მათ; მათ ინვესტიციებში დიდად პოპულარულია, ასევე, მრავალფეროვან სახელმწიფოფასიან ქაღალდებში დაბანდებათა შესრულება.

შეიძლება ითქვას, რომ სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო საქმიანობა ყველაზე გამოკვეთილად ჩანს აშშ-ში, თუმცა, ამ მხრივ სხვა განვითარებული ქვეყნების კომპანიებიც გამოირჩევიან. მაგალითად, დიდი ბირტანეთის სადაზღვევო კომპანიების მფლობელობაშია ლონდონის საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებული ყველა სააქციო კომპანიის 20%-ზე მეტი. ევროპის, აშშ-სა და იაპონიის სადაზღვევო კომპანიები ეკონომიკაში დაბანდებული 4 ტრლნ დოლარის სახსრებს აკონტროლებენ. მათ 80%-ს უზრუნველყოფს სიცოცხლის გრძელვადიანი დაზღვევის ოპერაციები. სადაზღვევო კომპანიებისა დასაპენსიო ფონდების დაბანდებები უზრუნველყოფს აშშ-ს შიდა ინვესტიციების მთელი მოცულობის 30%-ს, ხოლო სადაზღვევო შენატანების ხვედრითი წილი განვითარებული ქვეყნების მშპ-ში 10%-ს აღწევს [1, გვ. 4-5].

სადაზღვევო კომპანიების სახსრების ინვესტირების ძირითადი სფეროა ფიქსირებულშემოსავლიანი ფასიანი ქაღალდები (ნახევარზე მეტი), უძრავი ქონება (არენდით გასაცემი შენობები, მარკეტები, სამრეწველო საწარმოები, საცხოვრებელი სახლები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ტყის მასივები).

განვითარებადი ქვეყნების სადაზღვევო ორგანიზაციების მთელი ინვესტიციების თითქმის 60% ფიქსირებულშემოსავლიან ფასიან ქაღალდებსა და სესხებზე მოდის, 20% – აქციებზე, 10% – უძრავ ქონებაზე

და 10% დანარჩენ დაბანდებებზე. დაზღვევის ბაზრის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, მრავალ მათგანში სახელმწიფო მკაცრად აკონტროლებს ამ კომპანიების საინვესტიციო საქმიანობას, რისთვისაც მთელ რიგ მოთხოვნებს და ნორმატივებს უწესებს მათ. ეს ეხება ამა თუ იმ ობიექტებში ინვესტირების მოცულობებს, სადაზღვევო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ცალკეულ აკრძალვებსა და ნებართვებს და ა.შ. [1, გვ. 6].

ყოველი სადაზღვევო კომპანია საკუთარ საინვესტიციო პოლიტიკას ატარებს, რაზეც გავლენას ახდენს:

- სადაზღვევო ოპერაციის სახე;
- რესურსების აკუმულირების ვადები;
- მათ მიერ თავმოყრილი სახსრების მოცულობები.

იმ კომპანიებისათვის, რომლებშიც სარისკო სახის დაზღვევას ეწევიან, ძალიან მწვავედ დგას აქტივების ლიკვიდურობის პრობლემა.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის დირექტივები შეზღუდვებს უწესებს თავისი წევრი-ქვეყნების სადაზღვევო ორგანიზაციების რეზერვების დაბანდებას. კერძოდ, უძრავ ქონებაში მათი წილი არ უნდა აღემატებოდეს მათი რეზერვების 10%-ს, კოტირებულ აქციებსა და გარანტირებულ კრედიტებში – ასევე 10%-ს, არაუზ-რეველყოფილ კრედიტებში – 5%-ს, არაკოტირებულ აქციებში – 10%-ს, ნაღდ ფულად სახსრებში კი – 3%-ს [1, გვ. 6].

საქართველოში სადაზღვევო რეზერვების სახსრების გადაადგილების ძირითადი მიმართულება 2000-იან წლებში ბანკის დეპოზიტები იყო. რამდენადმე გაუმჯობესდა გრძელვადიანი დაბანდებების წილი, შეინიშნებოდა ზრდა ფასიანი ქაღალდების ოპერაციებით, აგრეთვე, აქტივების დაბანდება უძრავ ქონებაში. ამავე დროს, ინერტული იყო სავალუტო ოპერაციები და სადაზღვევო სარეზერვო საშუალებათა დაბანდება რეალურ წარმოებაში [2].

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის დასაწყისისთვის სადაზღვევო კომპანიების აქტივების მთლიანი მოცულობა 630 მლნ ლარს აღემატებოდა, რაც წინა წელთან შედარებით 25,7%-ით იყო გაზრდილი. ამ აქტივებში სადაზღვევო მოთხოვნებს 255,2 მლნ ლარი ეკავა, ფულად სახსრებსა და დეპოზიტებს – 105,6 მლნ ლარი, ხოლო შვილობილ და მოკავშირე კომპანიებში შესრულებულ ინვესტიციებს – 96,8 მლნ ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 21,2 მლნ ლარითაა გაზრდილი [3].

როგორც ცნობილია, ამჟამად კერძო სადაზღვევო კომპანიებმა ბაზრის უდიდესი ნაწილი დაკარგეს. ჯანდაცვის სახელმწიფო გარანტირებულად პროგ-რამებში მონაწილეობის პირობით მათ ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროგრამაში თავის დროზე 150 მლნ ლარზე

მეტი ინვესტიცია ჩადეს, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კი კლინიკების მიმართ მილიონობით ლარის დავალიანება დაუგროვდათ [4]. 2013 წელი სადაზღვევო ინდუსტრიამ ზარალით დაასრულა. მართალია 2012 წლის მაჩვენებელთან (7 მლნ ლარი) იგი მნიშვნელოვნადაა შემცირებული, მაგრამ მაინც შთამბეჭდავი სიდიდისაა და 3 მლნ ლარს აღემატება [5].

ქვეყნის ახალმა ეკონომიკურმა სოციალურმა პოლიტიკამ, ბუნებრივია, ინვესტორების ინტერესების დაცვაც უნდა შეძლოს, თუმცა ცვალებად გარემოში კერძო სადაზღვევო კომპანიებს ადაპტირების სერიოზული პრობლემები დაუდგათ [6], რომელთა მოგვარებამდეც სადაზღვევო ინდუსტრიიდან ეკონომიკის სხვა სექტორებში ინვესტიციების განხორციელების პერსპექტივა პრაქტიკულად ნულოვანი შეიძლება გახდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Анализ инвестиционной деятельности страховых компаний. www.wiki-ins.ru/wiki/ Анализ инвестиционной деятельности страховых компаний.
2. ნ. კაკაშვილი. სადაზღვევო ინსტიტუტების განვითარების პრობლემები და პრიორიტეტები. ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2008, №20 www.nplg.gov.ge/gsde/cgi-bin/library.exe
3. ეროვნული ბანკის 2012 წ. ანგარიში <http://heconomic.wordpress.com/2013/09/08/national-bank-georgia/>
4. რა ელის სადაზღვევო ინდუსტრიას? www.liberali.ge/liberali/articles/115302/
5. სადაზღვევო სექტორმა 2013 წელი ზარალით დაასრულა www.liberali.ge/liberali/news/11845a/
6. საყოველთაო დაზღვევა სადაზღვევო კომპანიების ნაწილს შეიწირავს resonancedaily.com/index.php?id_rub=3&id_artcl...
7. Мэнсон Т. Практический аспект управления итвестициями в страховых компаниях. Страховое ревю. 2006, №7.

ირინე მამალაძე
ასოცირებული პროფესორი

დაზღვევა და ინვესტიციები
ანოტაცია

საინვესტიციო გარემოს, ინვესტიციების ეფექტიანობის, მათი რეგულირებისა და დაზღვევის, აგრეთვე, ამ წრის სხვა საკითხებით თუ პრობლემები ეკონომიკურ ლიტერატურაში საკმაოდ ფართოდ და ღრმადაა გაშუქებული. შედარებით ნაკლები ყურადღება, ჩვენი აზრით, სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პოტენციალსა და მათი საინვესტიციო საქმიანობის კვლევას ეთმობა ხოლმე.

დაზღვევის განვითარებული ბაზრების მქონე ქვეყნებში სადაზღვევო ორგანიზაციები ერთ-ერთ უმსხვილეს ინვესტორებად ითვლებიან. ხშირად მათ იმ ინსტიტუციურ ინვესტორებადაც კი განიხილავენ, რომელთა ძირითადი ფუნქციაც კაპიტალის მობილიზებაა, სადაზღვევო მომსახურების გაწევას კი მათ მეორე-ხარისხოვან ფუნქციად მიიჩნევენ.

მზღვევლთა საინვესტიციო პოლიტიკაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მათ მიერ ბანკებში, უძრავ ქონებაში, მრეწველობაში, მომსახურებასა და სხვა სფეროებში განხორციელებულ დაბანდებებს. განსაკუთრებით მსხვილი სესხების განთავსებად მზღვეველები კონსორციუმებს ქმნიან ერთმანეთს შორის ან ბანკებთან ერთად. მათი კაპიტალის ძირითადი ნაწილი ხმარდება მანქანათ-მშენებლობას, ელექტრონულ, ქიმურ და ნავთობის მრეწველობას და ა.შ. ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა სახსრების ინვესტირება უმსხვილესი ტრანსეროვნული კომპანიების ფასიან ქაღალდებში. სადაზღვევო კომპანიები კონკურენციას უწევენ სპეციალიზებულ სალიზინგო ფირმებსაც.

სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო საქმიანობა ყველაზე გამოკვეთილად ჩანს აშშ-ში, სხვა განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა, ამგვარი საქმიანობა განვითარებად ქვეყნებშიც შეინევა, რაც შეეხება საქართველოს სადაზღვევო ბაზარს აქ სახელმწიფოსძლიერი საბაზრო პოზიცია აქვს განსაკუთრებით – სამედიცინო დაზღვევის სექტორში. ეს განაპირობებს ხსენებული სექტორის კვლევის ინტერესების გაძლიერებას.

Ирине Мамаладзе
Ассоциированный профессор

СТРАХОВАНИЕ И ИНВЕСТИЦИИ

Аннотация

Разные вопросы и проблемы инвестиционной среды, эффективности инвестиций, их регулирования и страхования достаточно широко и глубоко освещаются в экономической литературе. Меньшее, на наш взгляд, внимание уделяется инвестиционному потенциалу страховых компаний и исследованию их инвестиционной деятельности.

В странах с развитыми рынками страхования страховые организации считаются одними из крупнейших инвесторов. Нередко они даже рассматриваются как институциональные инвесторы, основная функция которых мобилизация капитала, а страховые услуги считаются второстепенной для них функцией.

В институциональной политике страховщиков видное место занимают их вложения в банки, недвижимость, промышленность и услуги. Для размещения особо крупных средств они организуют консорциумы между собой и/или совместно с банками. Основная часть их капитала направляется на развитие машиностроения, электронной, химической и нефтяной промышленности. Одно из главных направлений инвестиции в ценные бумаги крупнейших транснациональных компаний. Они же конкурируют со специализированными лизинговыми фирмами.

Инвестиционная деятельность страховых компаний особенно четко наблюдается в США и других развитых странах, однако, такая деятельность характерна также и для развивающихся государств. Что же касается страхового рынка Грузии, на нем сильную позицию поддерживает государство, в особенности в секторе медицинского страхования. Этим и обусловлена усиленная заинтересованность в исследовании страхового сектора страны.

Irine Mamaladze
Associate Professor

INSURANCE AND INVESTMENTS

Annotation

In institutional policy of insurers a significant place is occupied by investments services and in other spheres. The insurers organize consortiums among themselves or with banks to invest large enough money. Insurance companies are seriously competing with specialized leasing firms.

Investment activity of insurance companies is especially evident in USA and other development countries. As for developing countries in Georgia's insurance market, government has a strong market position, namely in medical insurance sector. This stipulates the strengthening of research interest of the mentioned sector.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკა

თენგიზ ქავთარაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

სამრეწველო მატყლის წარმოების სრულყოფის პრობლემატიკა საქართველოში

საქართველოში მეცხვარეობა საკმაოდ აა განვითარებული. მისი განვითარების დონე განპირობებულია სპეციფიკური ბუნებრივი პირობებით – ცხვრის საზამთრო და საზაფხულო საძოვრების არსებობით. ჩვენი ცხვარი იძლევა განსაკუთრებული გემოს ხორცს, მაღალი ღირსების სანოსე მატყლსა და ყველს. თუშური ცხვრის მატყლს, როგორც ნოსების ნედლეულს, დიდი მოთხოვნილება ჰქონდა როგორც რევოლუციამდელი რუსეთის ფარგლებში, ისე ევროპასა და სხვა ქვეყნებში. მაგალითად, აზერბაიჯანის განთქმული ნოსები, რომელიც ცნობილია კუბის ნოსების სახელწოდებით, იქსოვებოდა თუშური ცხვრის მატყლისაგან. საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მოთხოვნილებამ მატყლზე სრულიად ახალი მიმართულება მიიღო. აქამდე ჩვენი მატყლი ძირითადად გარევაჭრობის საგანს წარმოადგენდა. ის ჩვენი ქვეყნის გარეთ გაჰქონდათ და ადგილობრივად მხოლოდ შინამრეწველობისა და შინამოხმარებისათვის გამოიყენებოდა. საბჭოთა პერიოდში რესპუბლიკის შიგნით მატყლი დიდი სამრეწველო მნიშვნელობის ნედლეულად იქცა. საქართველოში მოეწყო თბილისის მაუდკამოლის კომბინატი, ქუთაისის მაუდის ფაბრიკა, ცხაკაისა და დუშეთის სანოსე ფაბრიკები და სხვა საწარმოები, რომელთა მოთხოვნილების ნახევარსაც ვედარ აკმაყოფილებდა მატყლის საკუთარი წარმოება.

საქართველოში მატყლის გადამამუშავების საკუთარი მრეწველობის განვითარებამ გამოიწვია მეცხვარეობის ძირეული გარდაქმნის აუცილებლობა. წმინდა და ნახევრადწმინდა მატყლის წარმოებისათვის 1936 წლიდან ფართოდ გაიშალა ადგილობრივი ცხვრის შეჯვარება მერინოსული ჯიშის ვერძებთან, რომლებიც მასიურად შემოჰყავდათ საქართველოში ჩრდილო კავკასიიდან. ამასთან ერთად, წარმოებდა მუშაობა თუშური ცხვრის სამატყლე პროდუქტიულობის გადიდებისა და მატყლის უკეთ გამოთანასწოვების მიზნით. ყველა ეს ღონისძიება მიმართული იყო იქითკენ, რომ საქართველოში შექმნილიყო სამრეწველო მატყლის წარმოების მყარი საკუთარი ბაზა მატყლის სასურველი ასორტიმენტით მრეწველობის მომარაგების მიზნით, და ერთდროულად გაძლიერებულიყო ხორცის ბალანსში ცხვრის ხორცის ხვედრითი წონა. ამ ღონისძიებათა წარმატებით გატარების შედეგად, საქართველოში შესაძ-

ლებელი გახდა გეოლოგთა ორი და მეტი მილიონი ცხვარი და ეწარმოებინათ მაღალი ღირსების წმინდა, ნახევრადწმინდა და თუშური ცხვრის 7-8 ათასი ტონა მატყლი.

ამჟამად საქართველოში მილიონამდე სული ცხვარია და წელიწადში 2 ათასი ტონა მატყლი იწარმოება. მატყლი მხოლოდ ადგილობრივად შინამოსმარებისა და შინამრეწველობისათვის გამოიყენება. ის არა არის დიდი სამრეწველო მნიშვნელობის ნედლეულად გადაქცეული, რადგან საქართველოში აღარ ფუნქციონირებს მატყლის გადამამუშავებელი საწარმოები. რესპუბლიკაში წარმოებული მატყლი, უხარისხობის გამო, არ არის მოთხოვნადი და მისი საბაზრო ფასი ქვეყანაში ძალზე დაბალია. რესპუბლიკას არ გააჩნია მატყლის ლაბორატორია. არ წარმოებს მატყლის სტანდარტიზაცია როგორც არსებული, ისე საერთაშორისოდ მიღებული სტანდარტების მიხედვით. მატყლის დამზადების ყოფილი საბჭოთა სტანდარტი არ მიესადაგება საერთაშორისო ევროპულ სტანდარტებს, რის შედეგადაც საქართველოში წარმოებული მატყლი ევროპის ქვეყნების საფეიქრო მრეწველობას არ მიეწოდება. მეცხვარეები ეკონომიურად დიდად ზარალდებიან. მაგალითად, ჩეჩქიან-ბირკიანი მატყლისა და დეფექტიანი მატყლის პირველ ჯგუფზე გათვალისწინებულია ფასის დაკლება 5 პროცენტის ოდენობით. აღნიშნული მატყლის მეორე ჯგუფზე გათვალისწინებულია ფასდაკლება 10 პროცენტით. მოსალოდნელია, რომ მატყლი ერთდროულად იყოს ჩეჩქიან-ბირკიანი და დეფექტიანიც. ასეთ მატყლზე ფასდაკლება დადგენილია 15 პროცენტით. 15 პროცენტით ფასდაკლება გათვალისწინებულია აგრეთვე წმინდა მატყლზე, რომელშიც შერეულია უხეში მატყლის ბეწვები ან კონები.

სხვათა შორის, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით, ჩვენი რესპუბლიკის მატყლი ნაკლები მანკიერებით გამოირჩევა და ხარისხობრივადაც უკეთესია. მაგალითად, სტავროპოლის მხარეში ნორმალური მატყლის სახით, მდგომარეობის მიხედვით სახელმწიფოს მიერ შესყიდული იყო: 1967 წელს – 10,6%, 1969 – 9,1%, 1972 წელს – 7, 5%, ხოლო უკრაინის რესპუბლიკაში – 1-2%. ამავე დროს, ჩვენს რესპუბლიკაში ნორმალური მატყლი სახელმწიფო შესყიდვაში იყო 1970 წელს – 66,3%, 1971 – 76,9%. ჩვენს რესპუბლიკაში ასევე მცირეა შესყიდვაში დაბალი ხარისხების მატყლი. მაგრამ ჩვენში მატყლის წარმოების მდგომარეობა მაინც ნორმალურად არ ჩაითვლება. მით უმეტეს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი, მაგალითად, გურჯაანის, საგარეჯოს, მარნეულისა და სხვა რაიონების მატყლის მანკიერება ჩეჩქიან-ბირკიანობისა და დეფექტიანობის მხრივ კიდევ უფრო მეტია.

ცხადია, მრეწველობისათვის ხარისხიანი მატყლის მიწოდების უზრუნველსაყოფად, ასევე სახელმწიფო შესყიდვის ნაკლოვანებათა აღმო-

საფხვრელად, ყოველგვარი დანაკარგების გარეშე წესიერად გამზადებული მატყლის მიხედვით, ძირეული ღონისძიებების ჩატარებაა საჭირო.

ამჟამად მეცხვარეობის ძირითად დანიშნულებად იქცა ხორცის და არა მატყლის წარმოება. ამიტომაც, სამრეწველო მატყლის წარმოებისა და დამზადების საქმიანობაში, ისე, როგორც თვით რეალიზაციის საქმეში, ბევრი ნაკლოვანება აღინიშნება, რომელთა აღმოფხვრა მოითხოვს კომპლექსური ღონისძიებების გატარებას.

წმინდა და ნახევრადწმინდამატყლიანი ცხვარი ერთგვაროვანი მატყლით, წელიწადში ერთხელ – გაზაფხულზე იპარსება, ხოლო უხეში და ნახევრადუხეშმატყლიანი ცხვარი, არაერთგვაროვანი მატყლით, წელიწადში ორჯერ – გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

შერეული, ანუ არაერთგვაროვანი მატყლიანი ცხვრის პარსვის ვადა განპირობებულია მატყლის აყრის მდგომარეობით, რაც ცხვრის გაღვევრვასთან არის დაკავშირებული და აპრილში ხდება. წმინდა და ნახევრადწმინდამატყლიანი ცხვრის პარსვის ვადა დაკავშირებულია მატყლის თებოიანობასთან, რადგან თებოიანი მატყლი სირბილის გამო კარგად იპარსება, თებო კი სასურველი რაოდენობით მაისში აქვს, ამიტომ პარსვაც ამ დროს უნდა მოხდეს.

საშემოდგომო პარსვა, როდესაც მხოლოდ შერეულმატყლიანი ცხვარი იპარსება, იწყება სექტემბრის პირველ რიცხვებში და მთავრდება ორ კვირაში. პარსვისას ითვალისწინებენ ცხვრის ასაკს, სქესს, სანაშენო ღირსებას და ჯიშს. ასე, მაგალითად, ასაკთან დაკავშირებით ჯერ იპარსება თოხლები, შემდეგ დედა ცხვარი და ბოლოს ყოჩები; სანაშენო ღირსების მიხედვით, პირველად იპარსება ჩვეულებრივი სულადობა, შემდეგ სანაშენო ცხვარი; ჯიშის მიხედვით, ჯერ – უხეშმატყლიანი, შემდეგ ნახევრადუხეშმატყლიანი, მერე ნახევრადწმინდამატყლიანი და ბოლოს წმინდამატყლიანი. დაავადებული ცხვარი ცალკე უნდა გაიპარსოს, ხოლო მისი მატყლი ორმაგ ტარაში შეიფუთოს სპეციალური წარწერით.

წმინდამატყლიანი ცხვის გაპარსვისას სიფრთხილეა საჭირო, რომ უხეში ბეწვი არ შეერიოს, რაც წმინდა მატყლის 15 პროცენტით ფასდაკლებას იწვევს. ამიტომ წმინდამატყლიანი ცხვრის გაპარსვისას საპარსი ადგილი, მანქანები და სხვა ინვენტარი კარგად უნდა გასუფთავდეს. მატყლის ჩასადებად ან შესაფუთად გამოიყენება უხმარი ბარდანები და ახალი შესაფუთი მასალა.

არსებობს დუქარდითა და მანქანით პარსვის ხერხები. დუქარდით პარსვასთან შედარებით მანქანით პარსვა დიდი უპირატესობით გამოირჩევა. მექანიკური პარსვა აადვილებს მპარსავის შრომას. ბევრად ადიდებს შრომის ნაყოფიერებას, აუმჯობესებს გაპარსული მატყლის ხა-

რისხს და ამცირებს მატყლის დანაკარგებს. მექანიკური წესით ბევრად დაჩქარებულია ცხვრის პარსვა, თუ საშუალო კვალიფიკაციის მპარსავი დუქარდით პარსავს 40-45 ადგილობრივი ჯიშის ცხვარს, მანქანით იმავე კვალიფიკაციის მპარსავს შეუძლია გაპარსოს იმავე ჯიშის 80-100 ცხვარი. ამ საქმეში დიდი წარმატებებია და პარსვის ზოგიერთი ოსტატი გასაოცარ შედეგს აღწევს. მაგალითად, გამოჩენილი ახალზელანდიელი მპარსავ-ოსტატი გოდფრეი ბოუენი 10 წუთში 7 ცხვარს პარსავდა, ამასთან, თითოეული ცხვრისაგან საშუალოდ მიიღო 4-5 კგ მატყლი. 1954 წელს ქ. პალმერსტონში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოწოდებულ შეჯიბრებაში მას 30 წუთში რომნი-მარშის ჯიშის 26 ცხვარი გაუპარსავს, 5 კგ საშუალო ნაპარსით. თვით ბოუენი იუწყება, რომ მისი პარსვის დღიური ნორმა 300-350 ცხვარს შეადგენს და რომ მისი მსგავსი ოსტატები ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში მრავალია. ყოფილ საბჭოთა კავშირში ბევრი იყო ცხვრის პარსვის ოსტატი. ზოგიერთ მათგანს დღეში 100-150 მერინოსული ჯიშის ცხვრის გაპარსვა შეეძლო. მაგალითად, ე. მოროზიეკო (სტავროპოლის მხარე) 8 საათში 106 წმინდამატყლიან ცხვარს პარსავდა, ი. პავლენკო (ზაპოროჟიეს ოლქი) – 125, ნ. სტოიანოვი (მოლდავეთის სსრ) – 127, ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის მწყემსი გ. ჯანაშვილი – 100 ცხვარზე მეტს და სხვა.

მატყლის სამრეწველო წარმოების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროდ მივიჩნით ახალი ზელანდიელი ოსტატების პარსვის ხერხის გაცნობა. ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში ცხვარს პარსავენ შეუკერულად, გავაზე დასმულსა და მუხლებს შუა დამაგრებულს. ამ ხერხით ცხვრის პარსვის ძირითად თავისებურებას ცხვრის მოხერხებული ბრუნვა-ტრიალი შეადგენს, რასაც მპარსავი მუხლებსა და მარცხენა ხელის საშუალებით აკეთებს. გარდა ამისა, სწრაფი და მაღალხარისხოვანი პარსვისათვის ბოუენი არც ერთ წვრილმანს არ უშვებდა მხედველობიდან. ყველაფერს თვლიდა მნიშვნელოვანად – მანქანის მჭრელი ნაწილების ღესვასა და საღესი აპარატის მდგომარეობას. საპარსის მოწყობასა და მპარსავის შემზადებას, მის ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, მის კვებასა და დასვენებას. განსაკუთრებულ ყურადღებას ის აქცევს თვით პარსვის ტექნიკასა და ორგანიზაციას. პარსავის ყოველგვარი მოძრაობა მათემატიკური სიზუსტით არის გაანგარიშებული და გათვალისწინებული, არც ერთ უქმ მოძრაობასა და მოქმედებას ადგილი არ აქვს [4].

ავსტრალიელები ძალიან დიდ ყურადღებას უთმობენ პარსვამდე ცხვრის დამუშავებას – გამოტარტვლას, რაც ჯერ კიდევ დოღში იწყება, ცხვარს გაუპარსავენ ცურსა და ლაჯებს. ცხვრის ასეთი დამუშავება ამსუბუქებს ცხვარს და აადვილებს ძირითად პარსვას. სამწუხაროდ, ჩვენში ყურადღება საერთოდ არ ექცევა ცხვრის აღნიშნული წესით პარსვისწინა დამუშავებას.

მანქანით პარსვის სისწრაფის გადიდებას საზღვარი არ აქვს. ეს დაკავშირებულია მანქანის კონსტრუქციულ გაუმჯობესებასთან, პარსვის ახალი ხერხების შემოღებასა და მპარსავის შემდგომ დახელოვნებასთან. პარსვის სისწრაფის გარდა, ელექტრომექანიკური პარსვის უპირატესობა გაპარსული მატყლის უკეთეს ხარისხსა და დანაკარგების აღკვეთაში გამოიხატება. მანქანით მატყლი ერთ ღონეზე და შედარებით უფრო დაბლა იპარსება, ვიდრე ეს შესაძლებელია დუქარდით, ასეთი ნაპარსი უკეთესი ხარისხისაა და თანაც მატყლის დანაკარგი დაახლოებით 3-5 პროცენტით მცირდება და, ცხადია, ცხვრის დიდი სულადობის შემთხვევაში დიდი დანაკარგის აღკვეთას ნიშნავს. შემდეგ, ელექტრომექანიკური პარსვის დროს, ცხვარი ნაკლებად წუხდება და ნაკლებად იჭრება.

პარსვის ტექნიკის საკითხს ცხვრის მპარსავთან მიყვანითა და საპარსად გამართვის განხილვით დავიწყებთ. ჩვენში ცხვრის მპარსავამდე მისაყვანად სპეციალურადაა გამოყოფილი მუშები, საპარსად კი ცხვარს მპარსავი აყენებს. პარსვის პროცესის ეს მონაკვეთი მძიმე და რთულია, იგი დიდ დროსა და და ენერგიას გვართმევს. ამ ნაწილის მოუგვარებლობა ძალიან უშლის ხელს პარსვის ჩატარებას. ჯერჯერობით ამ პროცესს არავითარი გაუმჯობესება არ დასტყობია, ამიტომ, საჭიროა, ყურადღება გამახვილდეს პარსვის ამ პროცესის ძირეულ გაუმჯობესებაზე. საზღვარგარეთ შემოღებულია სპეციალური საპარსი დაზგები. ეს გამოგონება მისასაღმებელია. დაზგაში ცხვარი გულადმა იმართება, ფეხები ცალ-ცალკე უმაგრდება. დაზგა იძლევა ცხვრის ორივე გვერდზე დაწოლისა და მისი 180 გრადუსით შემობრუნების საშუალებას. ეს გარემოება მეტად აადვილებს ცხვრის პარსვას. სასურველია, ეს დაზგები ჩვენშიც მალე შემოიღონ.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ მეცხვარეები ტრადიციული სიხარულით აღარ ეგებებიან პარსვას. ცხვრის პარსვა მეცხვარეობის რთველია. ეს არის დრო, როდესაც უნდა ანაზღაურდეს მეცხვარის ამაგი და გაამართლოს მოლოდინი. ეს გარემოება გვიკარნახებს, გავპარსოთ და ვაწარმოოთ მაღალი ღირსების სამრეწველო მატყლი. დღეს საქართველოში ყურადღება არ ექცევა ცხვრის პარსვის პროცესის ორგანიზებას. მეცხვარეობის ბრიგადებს არა აქვთ დადგენილი პარსვის ვადები; არ დგება პარსვის გეგმა; არ არის მოწყობილი საპარსი პუნქტები; არ ვიცით ცხვარი გაზაფხულზე და შემოდგომაზე სად იპარსება. არ ვიცით ცხვრის რამდენი ელექტროსაპარსი აგრეგატი მუშაობს და დუქარდით ცხვრის რამდენი სული იპარსება; არ ვიცით რამდენი კვალიფიციური მპარსავი მონაწილეობს ცხვრის პარსვაში და, საერთოდ, სულ რამდენი ასეთი მპარსავია საჭირო; არ დგინდება გაზაფხულზე გაპარსული მატყლი თუ ბარდება დასაკლასირებად სათანადო საწარმოებს პირველ

აგვისტომდე, ხოლო შემოდგომის მატყლი პირველ ნოემბრამდე. ცხვრის პარსვა მეტად საპასუხისმგებლო პროცესია, რადგან პარსვაში ყოველგვარი დანაკარგის გარეშე უნდა იქნეს მიღებული ხარისხიანი მატყლი, სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად დაკლასირებული, შეფუთული, მარკირებული, რათა არ გაძნელდეს მისი მიღება, რაოდენობისა და ხარისხის კონტროლი. ამიტომ ჩვენს რესპუბლიკაში ცხვრის პარსვის გაუმჯობესება დაუყოვნებლივ პარსვის ჩქაროსნული წესის დანერგვით უნდა დაიწყოს. 1962 წლიდან კურსების, სემინარებისა და კონკურსების საშუალებით ყოველწლიურად მზადდებოდა მპარსავები ჩქაროსნული წესით. მიუხედავად აღნიშნული ღონისძიების განხორციელებისა, მპარსავების მომზადების საქმე ჩვენში ნელი ტემპით მიმდინარეობდა და არადამაკმაყოფილებელია. ეს იმით აიხსნება, რომ უმრავლესობა, რომლებიც დაკავშირებულია ცხვრის პარსვასთან, გულგრილად ეკიდება ცხვრის პარსვის ჩქაროსნული წესით დანერგვის საქმეს. დღეს მეცხვარეობის უმრავლესი რაიონები განწყობილნი არ არიან საკუთარი თაოსნობით მოაწყონ მპარსავების მოსამზადებელი სემინარები, კონკურსები პარსვის ჩქაროსნული წესის დასანერგად. მეცხვარეობის ფერმერული მეურნეობები ცხვრის პარსვას მოუმზადებელი მპარსავებით იწყებენ. მეცხვარეობის საწარმოებში არ წარმოებს მპარსავების მუშაობის ყოველდღიური სწორი აღრიცხვა და შრომის დროული დარიცხვა-ანაზღაურება. ამისათვის თავს არავინ იწუხებს, რაც, ცხადია, კადრების მომზადებას ხელს არ უწყობს.

რესპუბლიკაში სამრეწველო მატყლის წარმოების გაუმჯობესება პარსვის ჩქაროსნული წესის ფართო დანერგვით უნდა დაიწყოს იმ ვარაუდით, რომ განხორციელდეს უახლოეს წლებში. მეცხვარეობაშიც ცხვრის პარსვის ჩქაროსნული წესისა და პარსვის რაციონალური ტექნოლოგიის ფართო დანერგვა საყოველთაო საქმედ უნდა იქცეს და რაც შეიძლება მალე უნდა განხორციელდეს ჩვენში.

ცხვრის ცუდი მოვლა-შენახვის პირობებში და საძოვრების დასარეველიანების შემთხვევაში ხშირია მატყლის მცენარეული მინარევებით დაჩეჩიანება და დაბირკიანება. ცხადია, ეს გარემოება ამცირებს სამრეწველო მატყლის წარმოების ხარისხს. ჩეჩიან-ბირკიანობის მიხედვით მატყლის დამამზადებელი სტანდარტი ითვალისწინებს ორ ჯგუფს: ჩეჩიან-ბირკიანობის პირველ ჯგუფში იგულისხმება მატყლი, რომელშიც ადვილად მოსაცილებელი ჩეჩის და ბირკის რაოდენობა მერყეობს კანის ფართობის ან წონის 10-30 პროცენტის ფარგლებში, ხოლო ძნელად მოსაცილებელი 15 – პროცენტამდე. ასეთ მატყლზე გათვალისწინებული იყო ფასის დაკლება 5 პროცენტის რაოდენობით. ჩეჩიან-ბირკიანობის მეორე ჯგუფში გამოიყოფა მატყლი, რომელშიც ჩეჩიან-ბირკიანობა აღემატება წინა ჯგუფის ნორმებს. ასეთ მატყლზე გათვა-

ლისწინებულისა 10 პროცენტით ფასდაკლება. ამიტომ საძოვრებზე აუცილებელია დამჩნევიანებული მცენარეების მოსპობა ანდა ცხვრის მორიდება სავარგულებზე, სადაც ეს მცენარეულობა გავრცელებული.

მატყლის ჩეჩქიან-ბირკიანობის გამომწვევი მცენარეებიდან საქართველოში უმთავრესად გავრცელებულია ბირკიანი იონჯა, ვაციწვერა, ღორის ბირკა, კუწუწა და სხვა. როგორ გამოვიცნოთ მატყლის დამნავეიანებული მცენარეები და რა ღონისძიებები გავატაროთ მათ მოსასპობად? ბირკიანი იონჯა ერთ-ორწლიანი პარკოსანი მცენარეა, მისი სპირალურად დახვეული ნაყოფი ხასიათდება მოკაუჭებული ეკლებით, რომლებიც მჭიდროდ ეხვევა მატყლს, რის გამოც ეს მცენარე მატყლის მწვავე დამბირკიანებლად ითვლება. ბირკიანი იონჯა გავრცელებულია უმეტესად ნახევარუდაბნოსა და ველის საზამთრო საძოვრებზე, სადაც მისი ნაყოფის მომწიფება მაისის მეორე დეკადიდან იწყება. ბირკიანი იონჯის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებაა ყვავილობის პერიოდში მისი გათიბვა და გაძოვება ბირკიანი იონჯით ძლიერ დასარეველიანებულ ნაკვეთებზე, სადაც იონჯის გარდა მარცლოვნები, ისლები და საკვებად გამოუყენებელი ნაირბალახებია გავრცელებული, ბირკიანი იონჯის მოსპობა შეიძლება ჰერბიციდების შესხურებით. შესხურება საჭიროა არა უგვიანეს ყვავილობის დაწყებისა მშრალ, თბილ და უქარო ამინდში, შემდეგი დოზით: ჰექტარზე ნატრიუმის მარილი 1,5-2 კგ, ბუთილის ეთერი 0,6-0,8 კგ, გახსნილი 500 ლიტრ წყალში. უნდა გვახსოვდეს, რომ ჰერბიციდის შესხურება არ შეიძლება ისეთ ნაკვეთებზე, სადაც მრავლადაა პარკოსნები, წითელწვერა, აბზინდა და სხვა ისეთი საკვები მცენარე, რომელიც კინდება ან ისპობა ჰერბიციდების მოქმედებით.

წურწუმა მრავალწლოვანი მკერიკორძიანი მარცლოვანია. მისი ნაყოფი ადვილად ეკვრება მატყლს, ხშირად გახვრეტს ხოლმე კანს, ჩააღწევს ცხოველის შინაგან ორგანოებში და სიკვდილსაც კი იწვევს. წურწუმას ნაყოფით დასარეველიანებული მატყლი დაბალი ხარისხისაა, ხოლო დაზიანებული ტყავი – უვარგისი. წურწუმას წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალებაა მისი გათიბვა ან გაძოვება დათავთავებამდე. ამ ფაზაში გათიბვით მიიღება საშუალო ხარისხის თივა და საძოვარიც ცხვრისათვის უვნებელი ხდება.

კრწანისის ყოფილი სასწავლო-ექსპერიმენტული მეურნეობის საზამთრო საძოვრების ბირკით დასარეველიანებულ ნაკვეთებზე ჰერბიციდების შესხურებით თითქმის მთლიანად მოისპო გავრცელებული ბირკების ყველა სახეობა. ამ გამოცდილების დანერგვა ხელს შეუწყობდა სარეველა მცენარეების მოსპობას. მატყლის ჩეჩქიან-ბირკიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში დიდი მნიშვნელობა აქვს ბირკებისაგან იმ სახნავი, განსაკუთრებით სარწყავი ნაკვეთების გასუფთავებას, რომ-

ლებიც მოსავლის აღების შემდეგ ცხვრის საძოვრად გამოიყენება. სარეველების ნაყოფით მატყლის დაჩქარება და დაბირკიანების წინააღმდეგ ბრძოლის პროფილაქტიკური ღონისძიებებიდან მნიშვნელოვანია ამ მცენარეების მოსპობა ცხვრის საპარს პუნქტებთან, ბაკებისა და ბინების გარშემო, სარწყულბუდე ადგილებთან. ცხვარს არ უნდა მიეცეს ამ მცენარეების ნაყოფით დასარეველიანებული თივა. ცხვრის ძოვება არც იმ ნაკვეთებზე შეიძლება, სადაც სარეველებმა მოასწრო ნაყოფის დაშლივა.

მატყლის დამსარეველიანებული მცენარეების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საძოვრების სწორად გამოყენებას, რადგან სარეველების გავრცელების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის საძოვრების არაწესიერად გამოყენება, ბუნებრივ საძოვრებზე უნდა დაინერგოს საძოვართბრუნვა და ნაკვეთობრივი ძოვება. მატყლის დამსარეველიანებული მცენარეების მოსპობა თითოეული მეცხვარის მოვალეობაა, ამით თავიდან იქნება აცილებული ზარალი. დედოფლისწყაროელთა მაგალითისამებრ, მეცხვარეს, კომბალთან ერთად, ყოველთვის თან ჰქონდა მარტივი საჭრელი და მუსრს ავლებდა მანვე მცენარეებს. ამით საძოვრების მოსავლიანობაც იზრდებოდა და მატყლის ხარისხის გაუმჯობესებასაც ხელი ეწყო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბელელაური გ. მეცხვარეობის განვითარების პერსპექტივა დავით გარეჯში. რეცენზ. ელექტრ. სამეცნ. ჟურნალი, 2010, № 25.
2. გამყრელიძე ბ. ცენტრალური კავკასიის მთიელთა ალპური მესაქონლეობა. „მეცნიერება“, 1982.
3. ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო. „მეცნიერება“, თბილისი, 2003.
4. ქუმსიშვილი ვ. მატყლმცოდნეობა. „ცოდნა“. თბილისი, 1961.
5. ქათამაძე დ. ცოტაძე მ. მეცხვარის ცნობარი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974.
6. ყამარაული ს. საქართველოს სსრ მეცხვარეობის ინტენსიფიკაციის საკითხები „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1979.
7. წიკლაური ქ. მეცხოველეობა და ბიზნესი საქართველოს მაღალმთიანეთში. თბილისი, 2002.

თენგიზ ქავთარაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**სამრეწველო მატყლის წარმოების სრულყოფის პრობლემები
საქართველოში
ანოტაცია**

ნაშრომში შესწავლილია საქართველოს მეცხვარეობის განვითარების პრობლემები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მეცხვარეობის განვითარება დაკავშირებულია მრავალი პრობლემის კომპლექსურ გადაწყვეტილებასთან. დადგენილია, რომ ამ ღონისძიებათა წარმატებით გატარების შედეგად, საქართველოში შესაძლებელია ორი და მეტი მილიონი ცხვრისა და მაღალი ღირსების სამრეწველო წმინდა, ნახევრადწმინდა და თუშური ცხვრის 7-8 ათასი ტონა მატყლის წარმოება. ამჟამად საქართველოში მილიონამდე სული ცხვარია და წელიწადში დაახლოებით 2 ათასი ტონა მატყლი იწარმოება. რესპუბლიკაში წარმოებული მატყლი უხარისხობის გამო არის სამრეწველო მნიშვნელობის ნედლეული, იგი არ არის მოთხოვნადი და მისი საბაზრო ფასი ქვეყანაში ძალზე დაბალია. ნაშრომში პირველადაა წამოყენებული წინადადება, რომ შეიქმნას მატყლის ლაბორატორია და სამრეწველო მატყლის წარმოების თვალსაზრისით ქვეყანაში უნდა დაინერგოს მატყლის დამზადების საერთაშორისო სტანდარტი.

Тенгиз Кавтарадзе
Доктор экономики

**ПРОБЛЕМЫ СОВРЕМЕНСТВОВАНИЯ ПРОМЫШЛЕННОГО
ПРОИЗВОДСТВА ШЕРСТИ В ГРУЗИИ**
Аннотация

В статье изучены проблемы развития овцеводства. Высказано мнение, что развитие овцеводства связано с решением множества комплексных проблем. Установлено, что в результате успешного проведения этих мероприятий в Грузии возможно производство более чем 2 миллионов тонн шерсти. Сейчас в Грузии производятся до 2 тысячи тонн шерсти. В работе в первии представлены предложения для создания лаборатории шерсти и для учреждения международного стандарта заготовки с точки зрения производства промышленной шерсти.

Tengiz KavTaradze
Doctor of Economics

**THE PROBLEMS OF IMPROVEMENT OF INDUSTRIAL WOOL
PRODUCTION IN GEORGIA**

Annotation

The article studies the problems of sheep breeding development in Georgia. Existsthe opinion that sheep-breeding development in Georgia is connected with complex decision of many problems. It is stated that as a result of successful measures, it is possible in Georgia to breed two or more million sheep and produce 7-8 tone wool of high quality. Nowadays in Georgia there is about million sheep and are produced nearly two thousand tone wool. Raw wool produced in Georgia because of its low quality is not of industrial significance. It is not demanded and its market price is very low in the country. In the article the first time proposes to create wool laboratory and with regard for production of industrial wool, international standard of wool purchase must be introduced.

ეკონომიკური თეორია

როლანდ სარჩიმელია
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ფშმ კანდიდატი, პროფესორი,
ნატა დავლაშერიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**დროის პროგრესის ბავშვებასა საქართველოს ეკონომიკაზე
გლობალიზაციის პირობებში**

დრო და სივრცე მატერიის არსებობის ერთ-ერთი ფორმაა³, რომელთა პროგრესული ცვლილებების დასახასიათებლად სამგანზომილებიან სივრცეში (სივრცე, სივრცე და სივრცე) წარმოვიდგინოთ სპირალისებურ განვითარებას, რომელსაც მიკროდონეზე ზიგზაგისებური შეფერხებები ახლავს, მაგრამ, საბოლოოდ, დროის პროგრესის გავლენით დადებითი შედეგები მიიღწევა. დროის პროგრესს სიმბოლურად „პროგრესულს“ ვუწოდებთ. იგი დროის ეფექტიანი გამოყენებით განვითარებას ნიშნავს.

განვიხილავთ მეცნიერებისა და ტექნიკის ისეთი მაღალი დონის ეკონომიკურ ეფექტს, რომელსაც დაჩქარებული პროგრესული ცვლილებები მოჰყვება. ამის საფუძველი ორი ათასი საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა.

1. დროის პროგრესული თავისებურებები. ფარდობითობის თეორიისა და, თითქმის იმავდროულად, საბაზრო ეკონომიკის მეცნიერულმა გამოკვლევებმა დროის პროგრესის ახალი შედეგები დააფიქსირა, რომელიც მრავალმხრივი თავისებურებით ხასიათდება.

ორ ათეულ წელზე მეტი გვაშორებს მბრძანებლური დაგეგმვის პერიოდს, მისი უარყოფითი გავლენა პოსტსაბჭოთა საქართველოს ეკონომიკაზე ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა.

დღესაც საშიშროებას ქმნის ის, რომ კომუნისტური ტიპის ეკონომიკის მსხვერვის შემდეგ საქმოსნებმა (ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო სექტორის საწარმოთა დირექტორებმა) ბოროტად გამოიყენეს შრომითი კოლექტივის უფლებები და პრივატიზაცია. პოსტსაქმოსნის მეწარმით ჩანაცვლებამ საქართველოს ეკონომიკა რთული პრობლემის წინაშე დააყენა⁴.

³ ქართული განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული). მთავარი რედაქტორი არნ. ჩიქობავა. თბილისი, 1986, გვ. 214.

⁴ ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2002, გვ. 115-116.

საბაზრო ეკონომიკაში ბიზნესს მრავალმხრივი თავისებურება გააჩნია. საბჭოთა კავშირში ბიზნესი და ბიზნესმენი თითქმის გაიგივებული იყო საქმოსნობასთან.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს უნდა ჩაენაცვლებინა მბრძანებლური დაგეგმვის სისტემა, რომელიც საბჭოთა კავშირში ათეული წლების განმავლობაში იყო დამკვიდრებული. შედეგად, რესურსებით მდიდარი ქვეყნის ეკონომიკა დეფიციტური იყო. მაშინდელი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება საჭირო რაოდენობის პროდუქციის მისაღებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული, თანაც მინიმალური დანახარჯებით, რაც რეალობას არ შეესაბამებოდა.

საბაზრო ეკონომიკაში მოდელის გამოყენებისას გასათვალისწინებელია გარკვეული შეზღუდვების შესაბამისად, მაქსიმალური მოგების მიღების პირობების შექმნა.

2. დროის პროგრესული ცვლილებები და მეცნიერ-გენიოსთა შეხედულებები ეკონომიკაზე. აკადემიკოსმა ილია ვეკუამ დროის პროგრესული ცვლილებები გამოყენებითი მათემატიკის პერსპექტივას დაუკავშირა, ამასთან, ეკონომიკის მათემატიკურ-კიბერნეტიკული მიმართულების დაფუძნებაზეც იზრუნა საქართველოში.

კიბერნეტიკა, როგორც მართვის მეცნიერება (რომლითაც იგი აერთიანებს სხვადასხვა სამეცნიერო დარგებს), ყოფილ საბჭოთა კავშირში ცალმხრივად და შეცდომით გამოიყენეს, როდესაც სამხედრო კიბერნეტიკა, როგორც ახალი მიმართულება ისე შემოიყვანეს. ამას მოჰყვა ეკონომიკური კიბერნეტიკის, სამედიცინო კიბერნეტიკის და ა.შ. სპეციალობების გახსნა უმაღლეს სასწავლებლებში.

საბაზრო ეკონომიკის (წარმატებებმა მსოფლიოში და, მასთან ერთად, ფიზიკაში) მათემატიკური აზროვნების მაღალ დონეზე წარმოდგენამ, განსაკუთრებით ფარდობითობის თეორიამ, განაპირობა შეცდომა, როდესაც მოინდომეს მათემატიკოსების ნაცვლად ფიზიკოსების ეკონომიკურ მეცნიერებაში ჩართვა. ამან გამოიწვია დიდი დანახარჯები, რომელიც არ მოხმარდა ეკონომიკურ-მათემატიკური მეცნიერების გაძლიერებას, ფიზიკის უშუალო გამოყენებამ ეკონომიკაში არ გაამართლა.

ილია ვეკუას თანამედროვე პეტრე კაპიცა, როგორც მეცნიერ-გენიოსი, ინგლისში დაკვალიანდა. მან მსოფლიოში მაღალი რანგის მეცნიერთა წინაშე თავისი მიღწევების შესახებ მოხსენებისას, ნაცვლად ფიზიკის პრობლემისა (რომელიც ნობელის პრემიას ეხებოდა), თემა შეცვალა და ის ყოფილ საბჭოთა კავშირში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობაზე მსჯელობას მიუძღვნა, რაც ალბერტ აინშტაინის ფარდობითობის

თეორიის ეკონომიკაში ახლებური გამოყენების კვლევის შედეგი უნდა ყოფილიყო.

პეტრე კაპიცა ყოფილი საბჭოთა კავშირის სინამდვილეში მბრძანებლური დაგეგმვის სისტემის შეცვლის საკითხს აყენებდა, მან ჯონ მენარდ კეინის ძირითადი შედეგები გაანალიზა და კომპაქტური სახე მისცა, ამასთან, სიფრთხილით დაუკავშირა კარლ მარქსის შედეგების ახლებური გაანალიზების აუცილებლობას და საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული მბრძანებლური დაგეგმვის „ეფექტიანობის“ გადასინჯვის მოთხოვნას. კაპიცამ, ისააკ ნიუტონიდან ალბერტ აინშტაინამდე, მექანიკის კანონების ცვლილებების შედეგები გამარტივებული, თანაც კომპაქტური სქემით დაახასიათა, ხოლო მათთან ანალოგიით დასვა საკითხი კარლ მარქსის „მოდერების“ ახლებურად გააზრებაზე მბრძანებლურ ეკონომიკაში. ამას კი საფუძვლად დაუდო ანალოგია, რომელიც ალბერტ აინშტაინმა მსოფლიო მეცნიერებას ახალი მიმართულებით (ფარდობითობის თეორია) მისცა ფიზიკაში.

პეტრე ლეონიდეს ძე კაპიცას იდეის მიხედვით, აუცილებელი ხდებოდა მსჯელობა რუსეთის რესპუბლიკის საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის პერსპექტიულობაზე, რომლის თანახმად, რუსეთი დამოუკიდებელი ეკონომიკის გაძლიერებასთან ერთად, გლობალიზაციის გზაზე დადგებოდა ერთპოლუსიან მსოფლიოში და სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევაში შეეშველებოდა, რაც რუსეთსა და საქართველოს შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე დადებითად აისახებოდა.

პეტრე კაპიცას ზემოთ მოყვანილი წინადადება, მექანიკის კანონებზე დამყარებული საბაზრო ეკონომიკის სიკეთის საბჭოთა კავშირის გასაძლიერებლად გამოყენებაზე, ირარეალურობის გამო მისაღები არ იყო.

პეტრე კაპიცამ იზრუნა ალბერტ აინშტაინის ფარდობითობის თეორიით მბრძანებლური ეკონომიკის პრინციპების მშვიდობიან შეცვლაზე. ამით პეტრე კაპიცა საბაზრო ეკონომიკასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა, მაგრამ აყენებდა საკითხს საბჭოთა კავშირის მოსალოდნელ დაშლაზე. ამ მხრივ პეტრე კაპიცას ნაზრევი რისკის შემცველ პროგნოზსაც შეიცავდა და ყურადღებას იმსახურებდა.

პეტრე კაპიცას შემოქმედებაში ნათლად ვლინდებოდა პატრიოტიზმი. იგი კეთილსინდისიერად ემსახურებოდა თავის ქვეყანას და, ამასთან, მსოფლიოს მაღალი დონის მეცნიერების წარმატებების მონაწილეც იყო.

ატომის ძალის გათავისუფლების თეორიამ და, მასთან ერთად, მსოფლიოში მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა მეოცე საუკუნეშივე სასიკეთოდ შეცვალა მეცნიერთა აზროვნება, რაც ყოფილ

საბჭოთა კავშირში მბრძანებლური ეკონომიკის შესაძლო მათემატიკაზი-
აციასაც შეეხო, მაშინ მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკა ფუნდამენ-
ტური ჭეშმარიტებისკენ მიიკვლევდა გზას.

ცივი ომის გავლენით მსოფლიოს პროგრესული საზოგადოება
მომავლის საგანგაშო მდგომარეობას გრძნობდა და ქვეყნებს შორის წი-
ნააღმდეგობების განმუხტვას ცდილობდა. ამასთან დაკავშირებით მოგვ-
ყავს „გენიოსთა გენიოსის ალბერტ აინშტაინის“ გაფრთხილების ერთ-
ერთი ვარიანტი, რომ „ვისწავლეთ ფრენა და შეგვიძლია იოლად გავგ-
ზავნოთ ცნობები მთელ მსოფლიოში ელექტრული ტალღების საშუალებ-
ებით“, მიუხედავად ამისა, „საქონლის წარმოება და განაწილება ჩვენ
სრულიად არა გვაქვს ორგანიზებული; ყოველი ადამიანი იძულებუ-
ლია, ცხოვრობდეს იმის შიშით, რომ ეკონომიკური ციკლიდან ამოვარ-
დება და დაკარგავს ყველაფერს“... მოსალოდნელია „სხვადასხვა ქვეყ-
ნებში მცხოვრები ადამიანები დროის სხვადასხვა პერიოდის შემდეგაც
ერთმანეთს ხოცავდეს“... ხოლო“ყველა ის, ვინც მომავალზე ფიქრობს,
შიშით და ძრწოლით უნდა ცხოვრობდეს“⁵.

მე-20 და 21-ე საუკუნეებიდან ცივილიზაცია აშკარად გამოვლინდა,
რაც მიმდინარეობდა მეცნიერების, ტექნიკისა და მათი ეკონომიკის
ეფექტიანი გამოყენებით, თანაც ისე, რომ დროის პროგრესი, გლობა-
ლიზაციასთან ერთად, დამახასიათებელი გახდა მსოფლიოს ეკონომი-
კისათვის.

დემერტმა ადამიანი ცხოველთა სიმრავლიდან გამოყო და შრომის
გონივრული უნარი მისცა. ადამიანი გამრავლებით დაფუძნდა დედამი-
წაზე, რაშიც სამყაროს ალგორითმით მეცნიერებისა და განათლების
სისტემა ფიგურირებს⁶, სადაც გენიოსურად მოაზროვნე მეცნიერები
მრავალ სიკეთეს ახორციელებენ, თანაც, დროის პროგრესის დაფუძნე-
ბით გლობალიზაციის პირობებში.

მნიშვნელოვანია ქრისტიანული ეკონომიკური აზრი ისეთი თემატი-
კით, როგორცაა საკუთრება, სამეურნეო საქმიანობა, შრომა, ფული,
ვაჭრობა, მართვა და მრავალი სხვა⁷.

მეცნიერებისა და რელიგიის ეკონომიკური ეფექტიანობა გლობა-
ლიზაციის პირობებში მშვიდობისმოყვარე და ძლიერ დემოკრატიულ

⁵ ს. ავალიანი. აინშტაინი (ცხოვრება, მოღვაწეობა და მსოფლმხედველობა). თბ., 1983, გვ. 129-130.

⁶ ა. გორბოვსკი. ფაქტორები, ვარაუდები, ჰიპოთეზები. მოსკოვი, „ცოდნა“, 1988, თავი IV. სამყაროს ალგორითმი, გვ. 199-228 (რუსულ ენაზე).

⁷ გ. შიხაშვილი. ბიბლიური მოძღვრება მეურნეობის შესახებ და თანამედროვეობა. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“. თბ., 2001, №4. მეურნეობის მართვის ეროვნული და გლობალური პრინციპების შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „მაცნე“, №1-2. თბ., 2004.

ძალებს მსოფლიოს მოსახლეობის სასიკეთოდ წარმართავს. ამ მხრივ აღსანიშნავია აშშ და ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობა. მათში აშშ მიხნეულია მსოფლიოს ეკონომიკის მამოძრავებელ ძირითად ძადად.

როლანდ სარჩიმელია
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ფშმ კანდიდატი, პროფესორი,
ნატა დავლაშერიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
დროის პროგრესის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე
გლობალიზაციის პირობებში
ანოტაცია

ჩატარებულია მსჯელობა დროის პროგრესულ ცვლილებების შინაარსობრივ მრავალმხრივობაზე. ამასთან ერთად განხილულია დროის პროგრესული ცვლილებების გავლენა ქართულ ეკონომიკაზე გლობალიზაციის ასპექტში და მეცნიერების ეკონომიკური ეფექტიანობით გამოყენების შესაძლებლობები.

განხილულია აკადემიკოს ილია ვეკუას დამოკიდებულება ეკონომიკური მეცნიერების პერსპექტივებისადმი და ეკონომიკის კვლევის აუცილებლობისადმი მათემატიკურ-კიბერნეტიკული მიმართულებით.

Роланд Сарчимелия
Доктор экономических наук,
Ната Давлашеридзе
Докто экономики

**ВЛИЯНИЕ ПРОГРЕССА ВРЕМЕНИ В ЭКОНОМИКЕ ГРУЗИИ В
УСЛОВИЯХ ГЛОБАЛИЗАЦИИ**
Аннотация

В статье рассмотрены характеристики науки и технологии высокого уровня достигнутые в XX и особенно XXI веке, благодаря прогрессивных изменений в начале перехода на рыночную экономику в пост-советской Грузии. Вместе с тем рассмотрены воздействие прогрессивного времени на экономику Грузии в контексте глобализации и возможности использования экономической эффективности науки.

Roland Sarchimelia

Doctor of Economics Sciences,

Nata Davlasheridze

Doctor of Economics

**INFLUENCE OF PROGRESS OF TIME ON GEORGIAN ECONOMY IN
CONDITIONS OF GLOBALIZATION**

Annotation

Are described the features of high level science and technology achieved in the XX and especially in the XXI century, due to the progressive changes at the beginning of transition to market reforms on post Soviet Georgia. In addition, is discussed the influence of progressive change of time on Georgian economy in the context of globalization and the possibilities of using the economic efficiency of science.

Is discussed the attitude of academician Illia Vekua to perspectives of economic science and the necessity of research of economy in math-cybernetics direction in Georgia.

Is characterized a scheme (designed by Peter Kapitza) of “peaceful transition from directive to market economy”, that, despite the impossibility of realization, revealed the necessity collapse of Soviet Union at early 80-ies.

Is marked the judgment of Albert Einstein on particular importance of economy for connected with the promotion of peace.

სტატისტიკა

მამუკა სარჩიმელია
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

ეკონომიკისა და სამართალდარღვევის სტატისტიკის აღრიცხვის თავისებურებები

სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და გავრცელება რთულ და, ამასთან, მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, რომლის გადასაწყვეტად, პირველ რიგში, საჭიროა მისი მეთოდოლოგიის სრულყოფა და ინფორმაციის ხარისხის კონტროლი.

ამასთან ერთად, საერთო და განმასხვავებელი ნიშნებით ყურადსაღებია მონაცემთა დაკონკრეტებული კვლევის ჩატარების სამართლებრივი მხარეც, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის გამოძიებასთან და ხასიათდება თავისებურებებით.

დიდი მნიშვნელობა ყოველთვის ენიჭებოდა და დღესაც ენიჭება ქვეყანაში ოფიციალური სტატისტიკის მოწყობის სამართლებრივ მხარეს, რომლის მიზანია, „საერთაშორისო დონეზე აღიარებული ფასეულობების საფუძველზე შექმნას სამართლებრივი ბაზა მეთოდოლოგიურად გამართული, ობიექტური და საიმედო სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და გავრცელების სისტემის ჩამოსაყალიბებლად.“⁸

ამასთან დაკავშირებით კანონმა უნდა განსაზღვროს სტატისტიკური ორგანოების უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობის ნორმები, სტატისტიკის ძირითადი ამოცანები და ორგანიზაციის პრინციპები.

ეკონომიკური სტატისტიკა მრავალდარგობრივია. იგი ემსახურება როგორც ცალკეულ, ასევე მთლიანობაში დარგებს მაკრო და მიკროდონეზე, სახელმწიფოს, მეცნიერებას, რეგიონებს და ა.შ. სტატისტიკის ძირითადი სამსახურია ინფორმაციის (მათ შორის მონაცემთა) მოპოვება-შეგროვება, პირველადი დამუშავება (ვიზუალურ ფილტრთან ერთად), ხოლო ამის შემდეგ მიმდინარეობს სანდო ინფორმაციის მომზადება მომხმარებელზე გადასაცემად, ძირითადად, სტატისტიკური ცხრილების სახით.

1. სამართალდარღვევებზე ეკონომიკური ინფორმაციის აღრიცხვის სტატისტიკის მეთოდოლოგიური სრულყოფის საკითხები. სტატისტიკა

⁸ თ. ბერიძე. სტატისტიკური საქმიანობის გაუმჯობესების გზები საქართველოში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, 11. გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი, 2013, გვ. 325.

სამართალმცოდნეობაში თავისებურია. მასში გამოყოფენ ინფორმაციის შინაარსობრივ მხარეს და იმის მიხედვით, თუ რომელ მონაცემს მივიჩნევთ დანაშაულობის მდგომარეობის გამოკვლევის საფუძვლად, საბოლოო შედეგი შეიცვლება. პროცესი არამდგრადია და აუცილებელი ხდება ახალი ინფორმაციის მოძიება.

ყველა ქვეყნის კრიმინოლოგები მრავალი წლის განმავლობაში ამუშავებდნენ და იყენებდნენ სტატისტიკური მონაცემების ანალიზს, რაც ამჟამად ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენებითაც ტარდება.

ერთ-ერთ ყველაზე პროდუქტიულ მეთოდიკას, აქტიურად გამოყენებულს აშშ-ის სამართლებრივი სტატისტიკის ბიუროს მიერ, წარმოადგენს მოსახლეობის ანკეტური გამოკვლევა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, გამოვლინდეს სხვადასხვა სახის დანაშაულებრივი ქმედების მონაცემები.

ადამიანის პირად და ქონებრივ უსაფრთხოებას საფუძვლად უდევს ან განამტკიცებს მკაცრი სადამსჯელო ღონისძიებების გატარების ეფექტიანობა, რაც, ჩვენი აზრით, დასაზუსტებელია, რადგან ღონისძიების გამკაცრება სახიფათოა, იგი უარეს დანაშაულს იწვევს.

დამნაშავეობის სტატისტიკაზე მონაცემთა დამუშავება, კომპიუტერის საშუალებით გათვლების ჩატარება და მიღებული შედეგების ეკონომიკური ანალიზი მაღალი ეფექტის მიღების იმედს იძლევა, რაც, მთლიანობაში, ჯერჯერობით იშვიათობაა.

საქმე ისაა, რომ დამნაშავეობაზე ეკონომიკის მონაცემები მწირია და ნაკლებად საიმედო, რაც გამოწვეულია მონაცემთა თავისებურებებით და თვისებრივ შინაარსში გაურკვეველობით, ხოლო როცა გადაწყვეტილების დაჩქარება აუცილებელი აღმოჩნდება, მოსალოდნელია შეცდომის დაშვებაც კი.

ამ შემთხვევაში მკვლევარს უნდა მიღებული პროგნოზის მიმართ უკმარისობა, ეჭვი მის დამაჯერებლობაზე, რაც გადაწყვეტილების მიღებას აფერხებს. ადამიანი განუსაზღვრელობის წინაშე დგება, რასაც რისკის გამოყენება სჭირდება, რომელიც, მოსალოდნელია, საიმედო აღმოჩნდეს, მეტწილად მოკლევადიან პროგნოზირებაში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოციოლოგიისა და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენება დამნაშავეობის სტატისტიკაში სტატისტიკური საინფორმაციო მასალების მოწესრიგების შესაძლებლობას იძლევა.

მათი შემდგომი დამუშავების უნივერსალური საშუალებაა კომპიუტერული პროგრამებით სტანდარტული პაკეტების შექმნა. ისინი გამოიყენება როგორც კონკრეტულ პრაქტიკულ შემთხვევებში, ასევე დამნაშავეობის სტატისტიკის თეორიის სრულყოფაში, რომელშიც აუცილებ-

ბელია იმის გათვალისწინება რომ კანონების განხორციელება ქვეყანას ძვირი არ უნდა უჯდებოდეს, ასევე კანონების გამკაცრება სახიფათოა და მათი რიცხვი მცირე უნდა იყოს. ამის მოგვარება სახელმწიფოს შეუძლია, რადგან იგი ფლობს იძულებით საშუალებებს, რაც სამოქალაქო საზოგადოების და მოქალაქეთა ურთიერობებთან უნდა იყოს შეთანხმებული.

2. პარადოქსული წინააღმდეგობები დამნაშავეთა დასჯის გამკაცრების ეკონომიკურ შეფასებაში. წინააღმდეგობა ერთმანეთის საპირისპირო და ერთმანეთის გამომრიცხველი შემთხვევების ერთდროულ არსებობას ნიშნავს, ხოლო პარადოქსი ისაა, რაც საყოველთაოდ აღიარებულ შეხედულებას, აზრს უპირისპირდება (ზოგჯერ მხოლოდ გარეგნულად.⁹ პარადოქსული წინააღმდეგობა თითქოს არაბუნებრივი ჩანს, რომელიც არ შეესაბამება აღიარებულ შეხედულებებს.

პარადოქსული წინააღმდეგობა სამართალდარღვევების მოწესრიგებას ახლავს. იგი დამნაშავეთა დასჯის კანონების გამკაცრებას მოითხოვს. ერთი მხრივ, რაც უფრო გამკაცრებულია კანონით დასჯა, მით უფრო მცირდება ქვეყანაში კანონდარღვევების შემთხვევები. მეორე მხრივ, რაც უფრო დაშინებულია მოსახლეობა, მოსალოდნელია, კიდევ უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინოს.

წინააღმდეგობა ადამიანის არსებობის ყველაზე საჭირო საქონელია, მაშინ, როდესაც მისი ფასი დიდი არ არის, მაგალითად, პურის გასაყიდი ფასი მის ერთ ერთეულზე (კგ) მცირეა, როდესაც მუსიკალური ინსტრუმენტის ერთეულის, მასთან შედარებით დიდი. ამასთან დაკავშირებით წინამდებარე ნაშრომისათვის ყურადსაღებია ღირებულების პარადოქსი.¹⁰

სამართალდარღვევა, როგორც სამართალსაწინააღმდეგო მოქმედება, თავისი შინაარსით წინააღმდეგობრივია. სამართალდამრღვევს მეტწილად მიაჩნია, რომ იგი კანონს არ არღვევს და ცდილობს, დასჯას თავი აარიდოს, იმის პირობას იძლევა, რომ მომავალში დანაშაულს არ ჩაიდენს. ზოგი დანაშაულს დასჯის შიშით არ აღიარებს. ამ მხრივ წინააღმდეგობები მრავალმხრივია და გამოძიებას მოითხოვს.

დანაშაულის ჩადენის თვითმხილველის უმოქმედობაც უმეტესწილად დანაშაულია.

ხშირად, დასჯის კანონების გამკაცრებითაც ვერ მიიღწევა სასურველი შედეგი, რადგან ისიც წინააღმდეგობრივია. საზოგადოების განვითარების ისტორიამ კი არაერთგზის დაადასტურა იტალიელი კრიმინა-

⁹ ქართული ენის განმარებითი ლექსიკონი. ერთტომეული. თბილისი, 1986. მთავარი რედაქტორი არნ. ჩიქობავა. გვ. 366.

¹⁰ რ. ასათიანი. ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი. გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი, 2010. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. გვ. 396.

ლისტის ჩეხარე ბეკარიას იმ სიტყვების ჭეშმარიტება, რომ დანაშაულთა თავიდან აცილებისათვის მთავარია არა სასჯელთა სიმკაცრე, არამედ იმ რწმენის გაქარწყლება, რომ დანაშაული დაუსჯელი დარჩება. 2013 წლის 17 აპრილს სისხლის სამართლის კოდექსის – „მუხლი 59. სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს“ – მე-2 პუნქტში შეტანილ იქნა ცვლილება და, ამჟამად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს, საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშვნისას ერთი სასჯელი – მეორეს. სასჯელის დანიშვნის შემსუბუქება კი პირდაპირ აისახა შსს სტატისტიკურ მაჩვენებლებზე და 2014 წელს 9 თვის განმავლობაში მომხდარი დანაშაული 16%-ით ნაკლებია, ვიდრე 2013 წლის ანალოგიურ პერიოდში.

პარადოქსულია მაგრამ სასჯელის გამკაცრებასაც შეიძლება მოჰყვეს დადებითი შედეგი, კონკრეტულად კი 2013 წლის 20 სექტემბერს მიღებულ იქნა ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში – „მუხლი 331. ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება“ და სასჯელის სახე გამკაცრდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე. სასხელის სახის გამკაცრება შსს სტატისტიკურ მაჩვენებლებზე ასე აისახა – 2014 წლის 9 თვის განმავლობაში მომხდარი ზემოაღნიშნული დანაშაული 86%-ით ნაკლებია, ვიდრე 2013 წლის ანალოგიურ პერიოდში. პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ სასჯელის გამკაცრების შემდეგ ანონიმური ზარების განხორციელება ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებაზე შეწყდა.

დანაშაულის ასაცილებლად ან, უკიდურეს შემთხვევებში, მათი სიმძიმის შესამცირებლად, კანონმდებლებს ურჩევენ მკაცრი კანონების განხილვას და მიღებას დამნაშავეების მიმართ, მაგრამ გამოცდილება ცხადყოფს, რომ მხოლოდ საკანონმდებლო და იძულებითი ღონისძიებებით, დადებითი შედეგის მიღება რთულია. მაგალითად, ძალადობის და კერძოდ ოჯახური ძალადობის შესამცირებლად საჭიროა საზოგადოების სრული ინფორმირება და მათი მეტი ჩართულობა პრობლემის მოგვარებაში.

დანაშაულის აცილების ეკონომიკური წინააღმდეგობების დასაძლევად მთავრობა სხვადასხვა ღონისძიებას მიმართავს.

მთავრობას წინააღმდეგობების დაძლევაზე ზრუნვაც უხდება, როდესაც დანაშაული უკიდურესი სიღარიბის მიზეზითაა ჩადენილი და მის დასაძლევად ზედაპირულ წინადადებებს იძლევიან. ზოგიერთი მოსახლეობის მაღალხელფასიანი სამუშაოთი დასაქმებას ითხოვს, ხოლო რამდენად შეუძლია ჩვენს ბიუჯეტს ეს, ამას ვერ ითვალისწინებენ. პრობლემა მრავალმხრივი და წინააღმდეგობრივია.

ზოგიერთი კანონდარდვევებით გამდიდრებული ცდილობს ფული იმისათვის დააგროვოს (თუნდაც დანაშაულის ჩადენით), რომ, საჭიროებისამებრ, ფული ძალოვან სტრუქტურებს გადაუხადოს, რათა ჩადენილი დანაშაულისაგან თავი დაიძვინოს. ასეთი ბრიყვული გადაწყვეტილება კიდევ უფრო ამძიმებს მის დანაშაულს.

3. პრივატიზაციასთან დაკავშირებული ჩრდილოვანი ეკონომიკის თავისებურებები პოსტსაბჭოთა საქართველოში. იგი ატარებდა სპეკულაციურ ხასიათს და დღესაც ბოლომდე არ აღმოფხვრილა. პრივატიზების პროცესში ყოფილი პარტოკრატების მიერ გაყიდული სახელმწიფო საკუთრება ძალზე შემცირებული ფასებით იქნა რეალიზებული.

მრავალ უარყოფით შედეგს შორის ამას ისიც ახლდა, რომ ბიზნესმენტა უმეტესობის გადაწყვეტილება უკონტროლოდ დარჩენილი პარტოკრატების ნებასურვილზე იყო დამოკიდებული და არა კანონზე¹¹.

მრავალი მსგავსი კანონდარდვევა ახლდა საქართველოში ჩატარებულ პრივატიზებას, რომლის სტატისტიკა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ აღრიცხული.

კრიმინალური წრის ინტერესები აქტიურად მიისწრაფვის ეკონომიკის იმ სფეროებისაკენ, სადაც გამდიდრების დიდი შესაძლებლობებია, მაგალითად, მოქალაქეთა ბინებისა და მიწის პრივატიზაცია.¹²

საპრივატიზაციო ობიექტების კონტროლს საწარმოს დირექტორი განაგებს. რეალობა ცხადყოფს, რომ იგი ცდილობს, საკუთარ კონტროლს ყველაფერი დაუქვემდებაროს, რათა საწარმოს მთელი ფონდები ხელში ჩაიგდოს და არაკანონიერი გზებით კერძო საკუთრებად აქციოს, რაც ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმოშობისა და გაძლიერების ერთ-ერთი მიზეზია. ამ შემთხვევაში აუცილებელია სამართალდარდვევებთან დაკავშირებული კანონების გამკაცრება.

მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლებით სამართალდარდვევების სტატისტიკის გართულება სახიფათოა, რადგან მოსალოდნელია წინააღმდეგობებით გაუგებრობა, ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აზრობრივი მოდელირების გამოყენებაც მოვიშველიოთ¹³.

აზრობრივი მოდელირება არ მოითხოვს ობიექტის მკაცრი სიმბოლოებით ფორმულირებას. მისთვის დამახასიათებელია ის, რომ ერთი პირის მოდელს ადამიანი აზრობრივად სწრაფად და მარტივად გადას-

¹¹ ნ. არევაძე. ჩრდილოვანი ეკონომიკა და ეკონომიკური განვითარების პრობლემები, მონოგრაფიიდან, ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები. „უნივერსალი“, თბილისი, 2004, გვ. 105.

¹² იქვე, გვ. 93.

¹³ რ. სარხიმელია, რ. ლორთქიფანიძე. აზრობრივი მოდელირების დაფუძნებისათვის საქართველოს ეკონომიკაში. ჟურნ. „ეკონომისტი“, №3, 2014, გვ. 70.

ცემს სხვა პირს, მაგალითად, სამართალდარღვევების პროგნოზირებაში გამოსაყენებლად¹⁴.

ყურადსაღებია ისიც, რომ აზრობრივი მოდელირებით სარგებლობის შემთხვევაში საჭიროებისამებრ გამოიყენება საბაზრო ეკონომიკის მოდელი და არ არის აუცილებელი დამნაშავეობის სტატისტიკის პროგნოზირების მეთოდოლოგიაზე მსჯელობის სრული დეტალური ჩატარება.¹⁵

4. კანონდარღვევის სირთულეები, რომელიც ახლავს სამამულო პროდუქციის ექსპორტის იმპორტთან პროგრესული თანაფარდობის დამყარებას. იგი მიკროდონეზე განიხილება საგარეო ვაჭრობაში ერთგვაროვანი პროდუქციის მიმღები ქვეყნის ყველა მიმწოდებელსა და მომხმარებელზე დანახარჯების მინიმიზაციით, თანაც ისე, რომ კმაყოფილება მოთხოვნები პროდუქციაზე.

დაისმის მაკროდონის ამოცანა, რომელიც ეხება არაერთგვაროვან პროდუქციაზე მოთხოვნა-მიწოდების დაკმაყოფილებას დანახარჯების მინიმიზაციით, ხოლო უფრო ფართო მასშტაბებით – შემოსავლის მაქსიმიზაციის პირობებში.

დაბალანსებული ვაჭრობა პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტის ტოლობით ფასდება, რომლის მიხედვით, სავაჭრო დეფიციტი იმპორტის ექსპორტზე გადაჭარბებას ეწოდება, ხოლო სავაჭრო უპირატესობად იმპორტის ექსპორტზე ნაკლებობა ითვლება.

დაბალანსების პირობების დაცვის რეალური შესაძლებლობები მსოფლიო სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარების შემთხვევაში საქართველოსეკონომიკას უახლოესი დროის პერიოდისათვის არ გააჩნია, თუმცა, მოსალოდნელია, ამას ადგილი ჰქონდეს გლობალიზაციის ზოგიერთ შემთხვევაში.

ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში მომგებიანობისათვის საიმედო ცალკეული რაიონების პერსპექტიული ძლიერი ფირმების საშუალებებით ვაჭრობის გააქტიურება, თანაც ისე, რომ მათზე დამოკიდებული საწარმოები და პროდუქციის გამოშვება მიზანმიმართული იყოს მაქსიმალური მოგებისაკენ. ამას სირთულეები ახლავს, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის ცალკეულ რაიონებში.

ჩვენთან იშვიათობაა აქციონერი, რომელსაც გააჩნია მხოლოდ ფირმაში დაბანდებული ფულადი სახსრები. ასეთი შესაძლებლობით იგი რისკის იმედზე ვერ გააქტიურდება, მით უფრო იმის გამო, რომ,

¹⁴ იქვე, გვ. 72.

¹⁵ მ. სარჩიმელია. დამნაშავეობის სტატისტიკის აქტუალური საკითხები. თბილისი, 2004, გვ. 103-134.

მოსალოდნელია, პროდუქციის იმპორტმა ექსპორტს ოთხჯერაც კი გადააჭარბოს.

ასეთ პირობებში ქვეყნის ეკონომიკას, განსაკუთრებით სამართალ-დარღვევების სტატისტიკას, ყურადღება სჭირდება, ხოლო კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა – კანონდარღვევების გამკაცრების დადებითი შედეგების დამკვიდრებას ქვეყანაში.

მამუკა სარჩიმელია
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

**ეკონომიკისა და სამართალდარღვევის სტატისტიკის
აღრიცხვის თავისებურებები
ანოტაცია**

განხილულია სამართალდარღვევებზე ეკონომიკური ინფორმაციის აღრიცხვის სტატისტიკის მეთოდოლოგიური სრულყოფის საკითხები და პრივატიზებასთან დაკავშირებული ჩრდილოვანი ეკონომიკის პირობებში კანონდარღვევების გამკაცრების წინააღმდეგობრივი შედეგები.

დახასიათებულია წინააღმდეგობები დამნაშავეთა დასჯის გამკაცრების ეკონომიკურ შეფასებებში.

წინა პლანზეა წამოწეული ეკონომიკური პროგნოზირების დაჩქარების მიზნით აზრობრივი მოდელირების გამოყენების ეფექტიანობა და ქვეყანაში კანონების გამკაცრებაზე დანახარჯების მინიმუმაციაზე ზრუნვის პრობლემა.

Мамука Сарчимелия
Доктор экономики, профессор

**ОСОБЕННОСТИ УЧЕТА СТАТИСТИКИ ПРАВОНАРУШЕНИЯ И
ЭКОНОМИКИ
Аннотация**

Рассмотрены вопросы методологического усовершенствования статистики учета экономической информации о правонарушениях и противоречивые результаты ужесточения правонарушений в условиях теневой экономики связанной с приватизацией.

Охарактеризованы противоречия в экономических оценках ужесточения наказания правонарушителей.

На переднем плане видвинуты эффективность использования смыслового моделирования с целью ускорения экономического прогнозирования и проблема заботы о минимизации расходов на ужесточение законов в стране.

Mamuka Sarchimelia
Doctor of Economic, Professor

**PECULIARITIES OF STATISTICAL ACCOUNTING OF ECONOMICS
AND LAW VIOLATION**

Annotation

Issues of methodologic improvement of statistical accounting of economic information on law violation and controversial results of law violation stricting in conditions of shadow economics related with privatization are discussed.

Controversions in economical evaluations of stricting punishment of guilty are discussed.

Efficiency of using semantic modeling in purpose of speeding up economic prognosis and problem of caring of minimization expenses on stricting laws in the country are advanced.

მომსახურების სფერო

მელა მელაშვილი

*თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
მეცნიერ თანამშრომელი*

ნუნუ ქისტაური

ეკონომიკის დოქტორი

ინოვაციების როლი მომსახურების სფეროს განვითარებაში

მომსახურების სფეროს განვითარება, მისი ეფექტიანობის ზრდა პირდაპირაა დამოკიდებული ინოვაციებთან. თანამედროვე ეკონომიკა წარმოადგენს საქმიანობის მეტად რთულ მექანიზმს, სადაც გაერთიანებულია და ერთმანეთზე ზემოქმედებას ახდენს სხვადასხვა კომერციული, საწარმოო, საინფორმაციო და ფინანსური სტრუქტურული ელემენტები. ინოვაციური საქმიანობის და ინოვაციური მენეჯმენტის აქტიუზაციის შედეგად მიღებულ ეკონომიკურ გარდაქმნათა შედეგები რეალურ ეკონომიკურ შინაარსს იძენს მხოლოდ მატერიალური წარმოების დარგებთან მჭიდრო კავშირების დალაგებული სისტემის არსებობის შემთხვევაში.

ეკონომიკურად განვითარებულ მოწინავე ქვეყნებში ინოვაციების შემუშავება და დანერგვა წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური განვითარების, ასევე ეკონომიკური უსაფრთხოების გადამწყვეტ ფაქტორს. ინოვაციური პროცესები უკვე საკმაო ხანია სულ უფრო და უფრო იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მათ ძირითად მიზანს დღეისათვის წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის გაზრდა და მომხმარებლების სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მაღალხარისხიანი საქონლით და მომსახურებებით. ზოგადად, ინოვაცია წარმოადგენს ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების არა უბრალოდ ახალ მეთოდს, არამედ ისეთ ახალ მეთოდს, რომელიც დამატებითი ეკონომიკური და სოციალური ეფექტის მიღების შესაძლებლობას იძლევა.

გასაგებია, რომ ინოვაციური საქმიანობა, როგორც ნებისმიერი სამეურნეო ეკონომიკური საქმიანობა, მოითხოვს სათანადო მართვას, ანუ ინოვაციურ მენეჯმენტს.

ინოვაციური მენეჯმენტი სამეცნიერო და საქმიანი წრეებისათვის შედარებით ახალი ცნებაა. ყოფილ საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ბანაკის ქვეყნებში ყოველივე ახლის დანერგვა აქტიური სახელმწიფოებრივი მართვისა და ცენტრალიზებული საბიუჯეტო დაფინანსების მეთოდებით ხორციელდებოდა. საბაზრო ურთიერთ-

ბათა პირობებში ახლის დანერგვის ძველი მექანიზმები უკვე აღარ მუშაობს, ახალი მექანიზმები კი ფორმირების პროცესშია.

ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ინოვაციური მენეჯმენტის ცნებას საერთოდ არ იყენებდნენ. სპეციალურ ლიტერატურასა და ოფიციალურ დოკუმენტებში იყენებდნენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის (გრძელვადიანი სახელმწიფოებრივი პროგრამების შემუშავებით) და წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის ცნებებს, რაც დამახასიათებელი იყო ცენტრალურად მართვადი ეკონომიკისათვის. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სადაც დომინირებს კერძო სექტორი (ბიზნესი), კომერციულ ორგანიზაციებს აქვთ სრული იურიდიული და ეკონომიკური დამოუკიდებლობა და სახელმწიფოს ჩარევით რაიმე დანერგვაზე საუბარიც კი ზედმეტია.

სიახლეთა მართვის (ინოვაციური მენეჯმენტი) ახალი სისტემები გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან წარმატებით დაინერგა მსხვილ მანქანათმშენებელ კომპანიებში ("აი-ბი-ემ", "ჯენერალ ელექტრიკი", "მიცუბიში", "სონი" და სხვ.). ამ სისტემების ამოცანებია გადაწყვეტილება ბათა მიღების პროცესის დაჩქარება, დაგეგმვისა და სტიმულირების პროცესის გამარტივება, სპეციალიზაციის ხარჯზე ახალი პროდუქციის დამუშავებისა და დანერგვის დაჩქარება.

ინოვაციური მენეჯმენტი სტრატეგიული მენეჯმენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაციის ხელმძღვანელობა უმაღლეს დონეზე. ინოვაციური მენეჯმენტის მიზანია ფირმის (საწარმოს) მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიკური საქმიანობის (ბიზნესის) ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა, ახალი პროდუქციის დამუშავება და დანერგვა (ინოვაციური საქმიანობა), მოდერნიზაცია და სრულყოფა იმ პროდუქციისა, რომელსაც უშვებენ, პროდუქციის ტრადიციული სახეების წარმოების შემდგომი სრულყოფა, წარმოებიდან მოძველებული პროდუქციის მოხსნა. ყოველივე ეს განპირობებულია საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლებით, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

ინოვაციურ მენეჯმენტში მთავარი ყურადღება ექცევა ინოვაციის სტრატეგიისა და ღონისძიებების შემუშავებას, რომლებიც მიმართულია მათ რეალიზაციაზე. ფირმის სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულება ხდება პროდუქციის ახალი სახეების დამუშავება და გამომუშავება, ვინაიდან სწორედ ეს განსაზღვრავს ყველა დანარჩენი მიმართულების განვითარებას.

ამრიგად, ინოვაციური მენეჯმენტის განხორციელება გულისხმობს ინოვაციური საქმიანობის გეგმებისა და პროგრამების დამუშავებას, ახალი პროდუქციის შექმნისა და მისი დანერგვის პროცესებისადმი დაკვირვებას, ახალი პროდუქტების შექმნის პროექტების განხილვას, ერთი-

ანი ინოვაციური პოლიტიკის გატარებას (ამ მიმართულებით საქმიანობის კოორდინაცია საწარმოო სტრუქტურებში), ინოვაციური საქმიანობის პროგრამების უზრუნველყოფა მატერიალური და ფინანსური რესურსებით, კვალიფიციური პერსონალით, დროებითი მიზნობრივი ჯგუფების (ადაპტური სტრუქტურების) შექმნა ინოვაციური პრობლემების კომპლექსურად გადასაწყვეტად – იდეიდან პროდუქციის სრულ წარმოებამდე.

მომსახურების სფეროში ინოვაციებისადმი თანამედროვე მიდგომა სულ უფრო მეტად ვერდნობა ინოვაციის, როგორც გარკვეული პროცესის, განხილვას. ძირითადი აქცენტი კეთდება განახლებისა და გაუმჯობესების უწყვეტ პროცესზე. სიახლეები უფრო მეტად ეხება შიდა და მომსახურების უშუალო მომხმარებელამდე მიტანის პროცესებს. ეს, როგორც წესი, მოიცავს ბიზნეს-პროცესების მთლიანად გადაწყობას. მომსახურების სფეროში არსებული სხვადასხვა კომპანიების ბოლო წლების დანახარჯების სტრუქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ მათი უდიდესი ნაწილი მოდის ინოვაციების პროცესზე, ანუ მომსახურებათა გაწევის გაუმჯობესებული მეთოდების შემუშავება-დანერგვაზე, ხოლო თითქმის ორჯერ ნაკლები იხარჯება ახალი პროდუქტის შექმნაზე.

ინოვაციები მომსახურების სფეროში მოიცავს ადამიანური რესურსების, ტექნოლოგიების, საფინანსო და საინფორმაციო ნაკადების ახალი პრინციპებისა და პოლიტიკის შექმნას. მსოფლიოში მუდმივად და ძალიან სწრაფად ჩნდება ინოვაციური მართვის ახალი მოდელები. ამის გამო ბევრი კომპანია ვერ ასწრებს, სწორი ორიენტაცია აიღოს ინფორმაციის ამ უზარმაზარ ნაკადში. ინოვაციური საქმიანობა, როგორც წესი, დაკავშირებულია გაურკვეველობასთან, ე.ი. რისკთან და ამიტომ წარმატების მიღწევა ამ საკითხში ხშირად უკავშირდება უშუალო ხელმძღვანელის პიროვნულ თვისებებს, მის ადლოს.

სხვადასხვა მეცნიერ-ეკონომისტთა (მ.შ. ამერიკელი მ. პორტერის) აზრით, ყველა წარმატებული კომპანია, ფირმა წარმატების მისაღწევად საკუთარ სტრატეგიას იყენებს, მაგრამ ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ საქმეში მათ ინოვაციების ფართოდ გამოყენება ეხმარებათ. ისინი როგორც ახალ ტექნოლოგიებს, ასევე მუშაობის ახალ მეთოდებს იყენებენ. კომპანიები, რომლებიც წარმატებებს სიახლეთა დანერგვით აღწევენ, მათ შენარჩუნებას მხოლოდ ამ პროცესის მუდმივი განახლების გზით ახერხებენ. ნებისმიერ, ძალიან წარმატებულ კომპანიასაც კი გაასწრებს კონკურენტი, თუკი იგი ამ პროცესს სისტემურ და სისტემატურ ხასიათს არ მისცემს.

ინოვაციური საქმიანობის ფინანსირების მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ ინოვაციური პროცესის წარმატებით განხორციელება შესაძლებელია როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ფინანსირების

ხარჯზე. დიდი მნიშვნელობა აქვს არა ინვესტიციების წყაროს, არამედ მის ეფექტიანობას. ამ პროცესში დიდ როლს თამაშობს ქვეყანაში ინოვაციური კლიმატის მდგომარეობა, საკანონმდებლო ბაზა, სამეცნიერო-კვლევითი პროცესის საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და ა.შ.

აშშ-სა და ბევრ ევროპულ ქვეყანაში კერძო და სახელმწიფო ფინანსების წილი ინოვაციურ საქმიანობაში თითქმის თანაბარია, იაპონიაში კერძო ინვესტიციების წილი 80%-ზე მეტია, თუმცა შედეგები იქაც და აქაც საუკეთესოა. მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ აუცილებელია იმ სფეროების და მიმართულებების მკვეთრად განსაზღვრა, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს დაფინანსდეს.

მომსახურების სფეროში ინოვაციების დანერგვის უმნიშვნელოვანეს, და, შეიძლება ითქვას, ერთადერთ მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის მომსახურების ხარისხის ზრდა. ამისათვის უნდა დამუშავდეს ინოვაციური განვითარების კონცეფციები განათლების, ჯანდაცვის, კულტურის, სოციალური მომსახურების, საბინაო მშენებლობის და კომუნალური მეურნეობების, ფიზკულტურის და სპორტის, ტურიზმის დარგებისათვის და ეს უნდა აისახოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამების სტრატეგიულ მიმართულებებში. სწორი ინოვაციური პოლიტიკის შემუშავება სწორედ სახელმწიფოს მხრიდან სათანადო მხარდაჭერას და ხელსაყრელი პირობების შექმნას ნიშნავს ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის განვითარებისათვის. ყოველივე ამის შესრულება ყოველად წარმოუდგენელია სათანადო ინფორმაციის ფლობის გარეშე. ყველა თანხმდება, რომ სახელმწიფოს როლი მსოფლიო ეკონომიკაში დღეს განისაზღვრება არა წარმოებული მანქანა-დანადგარების, ფოლადის, თუჯის და ა.შ. მოცულობით, არამედ წარმოების პროცესში გამოყენებული ინფორმაციის მოცულობით. აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში ციფრული ტექნოლოგიების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურების, განსაკუთრებით კი ინტერნეტის დანერგვამ, შესაძლებელი გახადა წარმოუდგენელი სისწრაფით ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება და გამოყენება, მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა კუთხის უსწრაფესი ურთიერთდაკავშირება.

ბოლო წლებში ინფორმაციის საშუალებათა ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად უსწრებს ისეთ ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორცაა მშპ, საგარეო ვაჭრობა და ა.შ. საინფორმაციო მომსახურებათა მსოფლიო ბაზრის შექმნა დაიწყო 80-იანი წლების ბოლოდან, რაც დამოკიდებული იყო ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებასთან, კონკურენციის უკიდურესად გამწვავებასთან. საინფორმაციო ბაზარი მოიცავს ეკონომიკურ, სამართლებრივ, სამეცნიერო და სხვა სახის ინფორმაციებს. თანამედროვე მსოფლიო საინფორმაციო მომსახურებათა

ბაზრის 75% მოდის ხუთ ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანაზე. ამათგან აშშ-ს წილი ამ მოცულობაში 50%-ია, რაც, მაგალითად, მნიშვნელოვნად ჭარბობს მისივე წილს ტრადიციული საქონლის წარმოებაში (12%), მეორე ადგილზეა იაპონია – 10%-ით. ინფორმაციისა და კომუნიკაციათა ტექნოლოგიების გამოყენებას ქვეყნის მართვის პროცესში ელექტრონულ მმართველობას უწოდებენ. მის დამკვიდრებას ისე, როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც დიდი ყურადღება ექცევა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში შექმნილია კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, რომელიც უშუალოდ მოწოდებულია, რომ განსაზღვროს კავშირგაბმულობის, ფოსტის და საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების ქსელებისა და საშუალებების განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგია და პრიორიტეტები, მათზე დაფუძნებული პროგრამები, განახორციელოს მათი მონიტორინგი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მომსახურების სფეროს დარგებიდან დღეს ყველაზე სწრაფი ტემპით ვითარდება ტურიზმი. ტურიზმი პირველ ადგილზეა ბიზნესსექტორში, სადაც ბიზნესის ფუნქციები თითქმის ექსკლუზიურად იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT). საქართველოშიც ტურისტული კომპანიები ნელ-ნელა ინტერესდებიან ინტერნეტის შემდეგი შესაძლებლობებით: ტურისტულ მომსახურებაში დაჯავშნის საინფორმაციო მონაცემები; სასტუმროების დაჯავშნოს სისტემების გამოყენება; რეკლამა და ტურისტული პროდუქტის განვითარება და სხვ. კომპიუტერულმა აღჭურვილობამ შესაძლებელი გახადა მძლავრი ავტომატიზებული სისტემების გამოყენება ტურიზმში გადაზიდვების (გადაყვანების) ორგანიზებისას; კომუნიკაცია და ეფექტური კავშირი; მარკეტინგული კვლევები; ტურისტული რესურსებისათვის მონაცემთა საინფორმაციო ბანკი და ა.შ. რაც შეეხება ტურისტული პროდუქტის რეკლამას, ტუროპერატორებისთვის ყველაზე ეფექტური ინტერნეტი აღმოჩნდა. ამასთან ერთად, ინტერნეტი, მობილური ტექნოლოგიები და ვაიერლესი ტურისტებს აძლევს საშუალებას, დანიშნულების ადგილების შესახებ მიიღონ ღრმა ინფორმაცია მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით საქართველო თავისი ეკონომიკური მაჩვენებლებით აკმაყოფილებს დასავლეთის ტიპის საინფორმაციო საზოგადოების მოთხოვნებს და მისი მთლიანი შიდა პროდუქტის უმეტესი წილი მოდის მომსახურების სფეროზე – 59.6%, ის მსოფლიო რუკაზე საკმაოდ ჩამორჩენილ ქვეყნად რჩება ინფორმაციისა და

ელექტრონული მმართველობის თვალსაზრისით. მსოფლიო მასშტაბით ელექტრონული მმართველობის ხარისხისა და ეფექტიანობის შესახებ მეტად საინტერესო კვლევები აქვს ჩატარებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა დეპარტამენტის სახელმწიფო მართვისა და განვითარების უწყების სპეციალისტებს. მათი დასკვნების შესაბამისად საქართველოს 190 ქვეყნიდან 90-ე ადგილი უკავია.

საქართველოს კიდევ ძალიან რთული გზა აქვს გასავლელი. მნიშვნელოვანი ინტელექტუალური და ფინანსური ინვესტიციების განხორციელებაა საჭირო, რომ ქვეყანამ შეძლოს ინფორმატიზაციისა და ელექტრონული მმართველობის მხრივ დასავლეთის სტანდარტებთან მიახლოება.

ჩვენმა ქვეყანამ, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის, მართალია ძალიან პატარა, მაგრამ მაინც შემადგენელი ნაწილია, უნდა ააგოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინოვაციური ეკონომიკა, რაც საქართველოსთვის კრიზისიდან გამოსვლის და შემდგომი განვითარების საშუალება უნდა გახდეს. ვთვლით, რომ ეს ნამდვილად არის შესაძლებელი, რადგანაც ჩვენს ქვეყანას გააჩნდა და მაღალ დონეზე აქვს შენარჩუნებული განვითარებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალი. მთავარია მისი რაციონალური გამოყენება. საქართველოში მეცნიერება და ტექნოლოგიები მეტად არასახარბიელო პირობებში აღმოჩნდა, ვინაიდან ისინი ხელისუფლების ყურადღების მიღმა დარჩა. უფრო ზუსტად, გასული საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში არსებობდა მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურების 250-მდე დაწესებულება. 1941 წლიდან აქ ფუნქციონირებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია მის დაქვემდებარებაში მყოფი 50-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტით.

ამასთან, მეცნიერებასა და სამეცნიერო მომსახურებაში დასაქმებული იყო 72 ათასი კაცი, აქედან 29 ათასი მეცნიერ-თანამშრომლის სტატუსით. აქედან მეცნიერული კადრების 43%-ს ჰქონდა მეცნიერებათა დოქტორისა და კანდიდატის ხარისხი.

აუცილებელია, რაც შეიძლება მაღე შემუშავდეს საქართველოს მეცნიერულ-ტექნიკური ტრანსფორმაციის საერთო ეროვნული პროგრამა, უნდა დაიხვეწოს საკანონმდებლო ბაზა. მიზანშეწონილია, შეიქმნას ინტელექტუალური პროდუქტების ბირჟა, რაც აუცილებელია ინოვაციური ბაზრის ჩამოყალიბებისა და მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის. სახელმწიფო დონეზე უნდა შემუშავდეს შიდა ბაზრის მეტად აგრესიული და გამოცდილი უცხოელი კონკურენტების შემოჭრისაგან ეფექტური დაცვის სისტემა, რაც დღევანდელი უკიდვანო გლობალიზა-

ციის პირობებში ყველაზე საშიშია ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის, მეტადრე მომსახურების სფეროში.

ასე რომ, სწორედ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს იმგვარი ინოვაციური პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს დაგროვილი სამეცნიერო პოტენციალის შენარჩუნებას, მის გამოყენებასა და განვითარებას; ინვესტიციების ეფექტურად განხორციელებას მომსახურების სფეროში, რასაც წარმატებით აკეთებენ მოწინავე ქვეყნები. რადგანაც დღეს უდავოა ის ფაქტი, რომ ინვესტიციები მომსახურების სფეროში, ინოვაციების დანერგვის მიზნით, შეიძლება მყისიერ შედეგს ვერ იძლევა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მიღებული მოგება მრავალჯერ გადაწონის მასზე გაწეულ დანახარჯებს. ამიტომაც, სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებით გატარებული ეტატიზმის პოლიტიკა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ამ სფეროს, არამედ მთლიანად ეკონომიკის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. “მაღალი ტექნოლოგიები და ეკონომიკური განვითარება”. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო-სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში, 21-22 ოქტომბერი, 2011.
2. აბესაძე რ. “ინოვაციები – ეკონომიკის განვითარების მთავარი ფაქტორი”. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები, 27-28 ივნისი, 2014.
3. დიხამინჯია ი. სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის როლი ქვეყნის მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ჩასართავად. ჟ. “სოციალური ეკონომიკა”, მაის-ივნისი, 2006.
4. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა, თბილისი “სიანდე”, 2006.

მედეა მელაშვილი
მეცნიერთანამშრომელი,
ნუნუ ქისტაური
ეკონომიკის დოქტორი

ინოვაციების როლი მომსახურების სფეროს განვითარებაში
ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ინოვაციების მნიშვნელობა ზოგადად, ასევე ინოვაციური მენეჯმენტის როლი, მისი მიზანი მომსახურების სფეროს განვითარებასა და მისი ეფექტიანობის ზრდაში. ასევე მითითებულია ამ კუთხით საქართველოს მეტად რთული, კრიზისული მდგომარეობასაბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველივე წლებიდან დღემდე. ასევე ხაზგასმულია, თუ რაოდენ დიდი როლი ენიჭება სახელმწიფოს სწორ ინოვაციური პოლიტიკას მომსახურების სფეროში არა მარტო ამ დარგის, არამედ მთლიანად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისა და განვითარებისათვის.

Медея Мелашвили
Научный сотрудник,
Нуну Кистаური
Доктор экономики

РОЛЬ ИННОВАЦИИ В РАЗВИТИИ СФЕРЫ УСЛУГ ОБСЛУЖИВАНИЯ
Аннотация

В работе рассмотрено значение инновации в общем, также роль инновационного менеджмента, его значение в развитии сферы обслуживания и росте ее эффективности. Указано, на очень сложное, кризисное положение Грузии в этом плане с первых же лет перехода на рыночную экономику и до сегодняшних дней. В работе также подчеркнута большая роль правильной инновационной политики государства в сфере обслуживания не только для развития отрасли, но и для экономических успехов и развития нашей страны в целом.

Nunu Qistauri

Doctor of economics

Medea Melashvili

**THE ROLE OF INNOVATIONS IN THE DEVELOPMENT OF
SERVICE SPHERE**

Annotation

The article discusses the significance of innovations in general and innovative management as well. Its aim is the development of service sphere and the growth of its efficiency. It also emphasizes the difficulties and crisis situation in Georgia in this aspect, beginning from the first days of transition to market economy till today. It also notes how great is the role of government's right innovative policy in service sphere not only in this sector, but for national economic advancement and development.

მაბისტრანტიებისა და დოქტორანტიების სამეცნიერო ნაშრომები

თეიმურაზ გოგონია

დოქტორანტი

სტრატეგიული მარკეტინგის არსი, როლი და მნიშვნელობა
ფირმის უწყვეტი განვითარებაში

როგორც თეორიული, ასევე ემპირიული ხასიათის მარკეტინგული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მარკეტინგის გაგება და მნიშვნელობა ფირმის ფუნქციონირებაში სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედების შედეგად მუდმივ ცვლილებებს განიცდის. აქედან გამომდინარე, თვით მარკეტინგის ცნების უამრავი განმარტება არსებობს. ძირითადად განსხვავებები განპირობებულია იმით, თუ როგორ აღიქმება მარკეტინგი.

ზოგიერთის აზრით, იგი წარმოადგენს გარკვეული სახის ბიზნესის კეთების ფილოსოფიას, სხვების შეხედულებით კი – ერთ-ერთ მმართველობით ფუნქციას [Бейкер М., 2002].

აღსანიშნავია კომპანია *Hewlett Packard*-ის ფუძემდებლის *დევიდ პაკარდის* ძალზე პოპულარული გამოთქმა მარკეტინგის მნიშვნელობის შესახებ – „მარკეტინგი ძალზე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ იგი მხოლოდ მარკეტინგული განყოფილების განკარგვაში დარჩეს“.

ბოლო დროის შესაბამის მარკეტინგულ ლიტერატურაში ხშირად აქცენტი კეთდება მარკეტინგის როლსა და მნიშვნელობაზე ფირმის სტრატეგიული საკითხების გადაწყვეტაში, მარკეტინგის როლზე ფირმის სტრატეგიულ დაგეგმვაში, მარკეტინგის სტრატეგიულ ფუნქციაზე [Anderson, P.F., 1982; Day, G. and Wensley R., 1983; Wind, Y. and Robertson, Th., 1983; Day, G.S., 1992; Lesumm T., 2001].

გამოქვეყნდა ძალზე პოპულარული „სტრატეგიული მარკეტინგის“ სახელმძღვანელოები [Дэй Д., 2002; Ламбен Ж.-Ж., 1996; Фатхутдинов P.A., 2006 და სხვ.].

